ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლილა

ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
გადახვევოდა იასა,
ზამბახსაც გაღვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიავსა.

ტოროლა მაღლა-ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით გალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

"აუვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ქართველთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
საშობლო გაახარეო."

№ 4 აპრილი 1950

პიონერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პ ი ო ნ ე რ ი

№ 4 აპრილი 1950

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის
ყოველთვიური საბავშვო ჟურნალი

გამომცემლობა
„კომუნისტი“
ფელიეტონი XXIV

ПИОНЕРИ Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии

ულიანოვების ოჯახი. 1879 წ.

ბარყელ რიგში მარჯვნიდან პირველი (ზის) პატარა ვალოდია (ვ. ი. ლენინი)

ეროვნული ბიბლიოთეკა



5327

ლენინი ჩვენთანაა

ათხმოცი წლის წინათ, 22 აპრილს, ვოლგისპირა ქალაქ სიმბირსკში, რომელსაც ახლა ულიანოვსკი ჰქვია,—სახალხო სასწავლებლების ინსპექტორის ილია ნიკოლოზის-ძე ულიანოვის ოჯახში დაიბადა მთელი მსოფლიო პროლეტარიატის ბრძენი ბელადი და მასწავლებელი ვლადიმერ ილიას-ძე ულიანოვი (ლენინი).

გაივლის საუკუნეები, მაგრამ ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ამ ძვირფას თარიღს—22 აპრილს, ლენინის დაბადების დღეს, არც ამ საყვარელ რუსულ ქალაქს—ულიანოვსკს, რომელმაც მშრომელ კაცობრიობას მისცა გენიოსი ლენინი.

ვოლგისპირა ქალაქი ულიანოვსკი—ლენინის მშობლიური ქალაქი — ისევე საყვარელია მოწინავე კაცობრიობისათვის, როგორც ლიახვის პირას გაშენებული უძველესი ქართული ქალაქი—სტალინის სამშობლო გორი. 22 აპრილი—ლენინის დაბადების დღე—ისევე ძვირფასი თარიღია, როგორც 21 დეკემბერი—უკვდავი ლენინის საქმის გენიალური განმგრძობის დიდი სტალინის დაბადების დღე.

ლენინი!—ეს სახელი ღრმად შთაბეჭდილია თვითეული საბჭოთა ადამიანის გულში. ლენინის ნათელი სახე მიგვიძღვის უკეთესი მერმისისაკენ.

თქვენი უფროსი დები და ძმები გულთან ახლოს ინახავენ ნაცრისფერ ბილეთს დიდი ლენინის სილუეტის გამოსახულებით. ეს სრულიად საკავშირო ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის წევრობის ბილეთია.

ზოგიერთი თქვენგანის მამისა ან დედის მკერდზე ბრწყინავს ოქროს ორდენი ბრძენი ლენინის სახის გამოსახულებით. ეს მთავრობის უმაღლესი ჯილდო—ლენინის ორდენია, მიღებული შრომისა და ბრძოლის ფრონტზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის.

ბრძოლისა თუ ზეიმის დროს, დემონსტრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციებზე ფრიალებს ალისფერი მატერია ლენინისა და სტალინის გამოსახულებით. ეს ლენინ-სტალინის დროშაა, რომელიც წინ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმისათვის ბრძოლაში.

ცამეტ მილიონ მოსწავლეს აერთიანებს პიონერული ორგანიზაცია, რომელიც ატარებს ლენინის უკვდავ სახელს.

თქვენ, მართალია, ჯერ პატარები ხართ და არ წაგიკითხავთ, მაგრამ უფროსების წიგნის კარადიდან უთუოდ გადმოგიღიათ სქელტანიანი წიგნები, გარეკანზე ლენინის პროფილის სილუეტის გამოსახულებით, რომლის ქვეშ ოქროს ასოებით სწერია—ლენინი. ეს ლენინის ნაწერი წიგნებია, რომლებსაც ასე გულმოდგინედ კითხულობენ და სწავლობენ თქვენი უფროსები. მალე თქვენც ასეთივე ინტერესით დაეწაფებით ამ წიგნებს, რომლებშიც მოცემულია ლენინის გენიალური მოძღვრება კომუნისტური საზოგადოების აშენების შესახებ. ეს მოძღვრება, რომელიც შემდგომ განავითარა დიდმა სტალინმა, ბრწყინვალედ ხორციელდება.

ლენინის სახელი უკვდავია. იგი, სტალინთან ერთად, ხალხის უსაყვარლესი ადამიანია. ლენინი უსაზღვროდ უყვარს მშობლიურ სტალინს. აი რას წერს ამხანაგი მიქოიანი: „ამხანაგი სტალინი გულისტკივილით ამბობს:... რა სამწუხაროა, რომ ახლა ლენინი ცოცხალი არ არის! ის მძიმე დროში ცხოვრობდა და მუშაობდა. აბა, ერთი ენახა მას ახლა, თუ რა გზა განვლეთ, რას მივაღწიეთ, ილიჩი კმაყოფილი იქნებოდა“.

ამხანაგი სტალინი მუდამ გვასწავლის მივბაძოთ ყველაფერში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინს. გახსოვდეთ, გიყვარდეთ, შეისწავლეთ ილიჩი, ჩვენი მასწავლებელი, ჩვენი ბელადი. იყავით ისეთი, როგორიც იყო ლენინი,—მოგვიწოდებს ამხანაგი სტალინი.

ლენინის ცხოვრება და მუშაობა სამაგალითოა. ლენინი ბუნებითვე დაჯილდოებული იყო განსაცვიფრებელი ნიჭითა და შეთვისების უნარით. მან ხუთი წლისამ ისწავლა კითხვა დედისაგან და მალე მოთხრობების კითხვა და ლექსების ზეპირად დასწავლა დაიწყო. ცხრა წლისა გიმნაზიაში შევიდა და ჩვიდმეტი წლის ასაკში 1887 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა. ამ დროისათვის მან კარგად იცოდა ბერძნული, ლათინური, ფრანგული და გერმანული ენები. იგი ბავშვობიდანვე ბევრს კითხულობდა. თხუთმეტი წლისა კარლ მარქსის გენიალურ ნაშრომს „კაპიტალს“ გაეცნო.

მარტო ბუნებით მინიჭებული დიდი ნიჭიროდი უწყობდა ხელს ახალგაზრდა ლენინს ასე კარგად ესწავლა, ამდენი ცოდნა მიეღო ჯერ კიდევ ბავშვობის ასაკში. მაგრამ იგი იჩენდა ნებისყოფის სიმტკიცეს, შეუპოვრობას სწავლაში, ბეჯითობას, შრომისმოყვარეობას. მან კარგად იცოდა დროის ფასი და ჭკვიანურადაც ანაწილებდა. ჰქონდა დღის მტკიცე განრიგი და განუხრელად ასრულებდა მას. ამიტომ ასწრებდა იგი ერთ დღეში იმდენი საქმის გაკეთებას, რასაც სხვა ერთ კვირაშიც ვერ ახერხებდა. ბავშვობაშივე გამომუშავებული გულმოდგინება სწავლაში—მან არა მარტო შეინარჩუნა შემდეგ, არამედ უფრო გააღრმავა და განამტკიცა. იმ უკვდავ თხზულებათა შექმნა, რომელთაგან დღეს მრავალი ტომია შემდგარი, ხომ ზეადამიანურ შრომას მოითხოვდა! მაგრამ გენიოსს ამ საქმეს უმსუბუქებდა ბავშვობიდანვე გამომუშავებული



სახლი სიმბირსკში (ულიანოვსკში), სადაც ლენინი ცხოვრობდა 5 წლის ასაკამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შრომის უდიდესი კულტურა, ნებისყოფის სიმტკიცე.

მოსკოვში, ლენინის მუზეუმში გამოფენილია დიდძალი ლიტერატურა, წაკითხული ლენინის მიერ. ათვალიერებ მას და განცვიფრებაში მოდიხარ—როგორ მოასწრო მან ამდენი წიგნის წაკითხვა. ლენინმა, მრავალ შრომათა შორის, დაწერა ერთი ცნობილი შრომა, რომელსაც ჰქვია „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში". ამ გენიალური თხზულების დასაწერად მას დასჭირდა 160-ოდე სხვადასხვა წიგნის წაკითხვა.

ნათელ გონებასთან, უდიდეს ნიჭიერებასთან ერთად სწორედ ასეთმა გულმოდგინე სწავლამ და შრომამ გახადა იგი გენიოსი, ბრწყინვალე სახელმწიფო მოღვაწე. ლენინმა სტალინთან ერთად განახორციელა ხალხის სანუკვარი ოცნება—დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მისცა მას თავისუფლება და ბედნიერება. ლენინი იყო ბოლშევიკური პარტიის შემქმნელი, მისი ბელადი, მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ფუძემდებელი, ძლევამოსილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დაარსების ინიციატორი.

ასე უყვარდა ლენინს შრომა, მიუხედავად თავისი განსაცვიფრებელი ბუნებრივი ნიჭისა. მაგრამ ამ უდიდეს გონებრივ შრომასთან ერთად იგი დროს პოულობდა აგრეთვე გართობა-დასვენებისათვის. ვალოდია მკვირცხლი, ღონიერი, სიცოცხლით სავსე. მოუსვენარი ყმაწვილი იყო. თავისუფალ დროს დარბოდა, მთელი გატაცებით თამაშობდა თავის და-ძმებთან და სხვა ტოლებთან ერთად. კარგი სპორტსმენი და შესანიშნავი მცურავი იყო, ხოლო ჭადრაკი მისი საყვარელი სპორტული გასართობი გახდა ბოლო დრომდისაც. ლენინი ხშირად თამაშობდა ჭადრაკს დიდ პროლეტარულ მწერალ მაქსიმ გორკისთან.



ლენინი გიმნაზიელი

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ახალგაზრდობას, ნორჩ თაობას მოუწოდებდა შეუპოვარი სწავლისაკენ. შენ უთუოდ გაგიგონია მისი ბრძნული დარიგება: „კომუნისტი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდე, როცა შენს მეხსიერებას გაამდიდრებ ყველა იმ სიმდიდრის ცოდნით, რაც კაცობრიობას შეუმუშავებია".

და შენი სანუკვარი ოცნება ხომ, პიონერო, ისაა, რომ გახდე კომუნისტი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი!

ამიტომაც ,,შენება რომ შესძლო, საჭიროა ცოდნა, საჭიროა მეცნიერების დაუფლება, ხოლო თუ ცოდნა გინდა, უნდა ისწავლო. ისწავლო შეუპოვრად, მოთმინებით'',— ასე გვასწავლის დიდი ლენინის უკვდავი საქმის გენიალური განმგრძობი მშობლიური სტალინი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიდო ლენინ, საყვარელო.
შენ ხარ ხალხთა ძმობის დროშა;
წინ გვიძღოდი და მიგვიძღვი
ბრძოლისა და შრომის დროსაც.

სიბრძნის შუქით გაგვიბრწყინე,
რაც ვერ შეძლეს წინაპრებმა;
შენი ხსოვნა ჩვენს გულებში
აოასოდეს ინამქრება!...

შენ შეგვიქმენ ეს ცხოვრება
ტკბილზე ტკბილი და დიადი;
ბრძენთა ბრძენო, გაგვითენე
კომუნიზმის განთიადი!

შენ დროშა ხარ ჩვენი წინსვლის
და დიდების გზა გვიჩვენია,
რადგან ყველამ კარგად იცის;
დღეს ლენინი — სტალინია!..

ემელიან ქურდიანი



კ ა შ ი ნ ო ში

1920 წელს მოსკოვის ახლო მდებარე სოფელ კაშინოს გლეხებმა ზეიმზე მიიწვიეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. ზეიმი მოწყობილი იყო სოფლის ელექტროსადგურის გახსნის აღსანიშნავად.

ნოემბრის ცივი და მზიანი დღე იყო. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, ნადეჟდა კრუპსკაიასთან ერთად, გაემგზავრა კაშინოში. სოფლის თავში ბავშვები ყრიამულით შეხვდნენ ლენინის ავტომანქანას.

ლენინმა ბავშვებს მიუალერსა და მანქანაში ჩაისვა.

მალე მოედანზე გაიხსნა მიტინგი. მიტინგს ესწრებოდნენ როგორც კაშინოს, ისე მახლობელი სოფლების გლეხები.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა ლენინმა. მან გლეხებს უამბო წითელი არმიის გამარჯვებებზე, ქვეყნის მომავალ ელექტროფიკაციაზე. იმ დროს საბჭოთა მთავრობა მთელი საბჭოთა ქვეყნისათვის ადგენდა ელექტროფიკაციის გეგმას. ზეიმზე ლენინმა თქვა: როდესაც ელექტროფიკაციის ეს გეგმა განხორციელდება, ყველა ჩვენს ქალაქსა და სოფელს ელექტრონის სინათლე მოეფინება და ელექტრობა გახდება ჩვენი ტექნიკის მთავარი ძალა წარმოებასა და სოფლის მეურნეობაშიო.

ამ დროს იქვე აღმართულ ბოძზე აინთო ელექტრონათურა. ელექტრონათურები აკიაფდა ქოხებშიც.

იმ საღამოს კაშინოში დიდხანს არ დაწოლილან დასაძინებლად, — დიდი და პატარა თვალს ვერ აშორებდა „ილიჩის ნათურებს“.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გოელრო

გეგმა, რომლის შესახებაც კაშინოში მიტინგზე ილაპარაკა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა, მუშავდებოდა ლენინისავე მითითებით. გეგმას ადგენდა განსაკუთრებული სახელმწიფო კომისია რუსეთის ელექტროფიკაციისა. ამ კომისიას შემოკლებით **გოელრო** დაარქვეს.

ამ გეგმის მიხედვით, საჭირო იყო ჩვენს ქვეყანაში ათი-თხუთმეტი წლის განმავლობაში აშენებულიყო 30 დიდი ელექტროსადგური.

მძიმე დროს დიწყო ეს დიდი მშენებლობა. საბჭოთა ხალხი მაშინ ბრძოლებს აწარმოებდა რუსეთის თეთრგვარდიელებისა და უცხოელი იმპერიალისტების წინააღმდეგ, რომელთაც უნდოდათ კაპიტალისტური წყობილება აღედგინათ რუსეთში.

ლენინმა, სტალინმა, ბოლშევიკების პარტიამ დარაზმეს საბჭოთა ხალხი მტრების წინააღმდეგ საბრძოლველად და ქვეყნის ელექტროფიკაციის უდიდესი გეგმის განსახორციელებლად.

ჯერ კიდევ ლენინის სიცოცხლეში აიგო შატურის, კაშირისა და პეტროგრადის ელექტროსადგურები.

მიმდინარეობდა სხვა ელექტროსადგურების მშენებლობა გოელროს გეგმის შესაბამისად.

30 წლის შემდეგ

ყოველწლიურად იზრდება საბჭოთა ხალხის სიმდიდრე. სოფლებში, სადაც წინათ მკვარი და ქონის სანთელი ანათებდა, ახლა ძალიონობით „ილიჩის ნათურა“ ბრწყინავს.

დიდი სამამულო ომის წლებში, როცა ჩვენი ხალხი, საბჭოთა არმია იცავდა ჩვენი სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, საბჭოთა ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი ფიქრობდა აგრეთვე ჩვენი სახელმწიფოს მომავალ ცხოვრებაზე, — მან ხელი მოაწერა მთავრობის დადგენილებას ჩვენს ქვეყანაში სოფლის ელექტროფიკაციის განვითარების შესახებ.

ასე დაიწყო სტალინური ლაშქრობა კოლმეურნეობათა ახალი ელექტროსადგურების აღდგენისა და მშენებლობისათვის; ასე დაიწყო ჩვენი სოფლების ელექტროფიკაციის ახალი ალმავლობა, ელექტროძალის კიდევ უფრო ფართოდ გამოყენება სოფლის მეურნეობაში.

რაზედაც ლენინი 30 წლის წინათ ოცნებობდა, განხორციელდა ჩვენს სტალინურ დროში.

ახლა მთელ რიგ რაიონებსა და ოლქებში კოლმეურნეობები ელექტრონის ენერგიით ასრულებენ მძიმე სამუშაოებს, აგრეთვე ანათებენ ბინებს, დაწესებულებებსა და ქუჩებს.

მთლიანად შესრულდა ელექტროფიკაციის გეგმა სვერდლოვსკის ოლქში. მთავრდება ელექტროფიკაცია მოსკოვის, გორკისა და იაროსლავლის ოლქებში.

მრავალი ელექტროფიცირებული რაიონი არის უკრაინაში, საქართველოში, სომხეთში, ბაშკირეთში და სხვა მოძმე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში.

ასრულდა ვლადიმერ ილიას-ძის სიტყვა, რომ ელექტროობა ტექნიკის მთავარი ძალა იქნებოდა ჩვენს მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში.

სვერდლოვსკის ოლქის აჩიტის რაიონის კოლმეურნეობა „განთიადში“ თითქმის ყველა სამუშაო ელექტრომანქანებით სრულდება.

ელექტრონის მოწყობილობით წველიან ძროხებს, გამოყოფენ რძისაგან ნაღებს და დღვებავენ კარაქს.

ხელოვნური წვიმის დანადგარით, რომელსაც ელექტრონის ენერგია ამუშავებს, უდიდეს საკოლმეურნეო ბოსტნებს რწყავენ.

ელექტრონის ენერგიით ლეწავენ ხორბალს, ამუშავებენ წისქვილს.

ასეთი კოლმეურნეობები ჩვენში ათასობითაა. მათი რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

ელექტრონი მკვიდრდება კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში. ბევრ კოლმეურნეს აქვს ელექტროჩაიდანი, ელექტროქურა და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობა, რადიომიმღები და ელექტრონის პატეფონი.

ზოგიერთ ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობაში ეწყობა საერთო ელექტროსამრეცხაოები, ელექტრომაცივრები ხორცისა და სხვა მალმაფუჭი პროდუქტებისათვის.

მეცნიერები და ინჟინრები იგონებენ ასობით ელექტრომანქანასა და აპარატს, რომლებიც ადვილებენ მძიმე გლეხურ შრომას.

ელექტროფიკაციის დარგში მიღწეული ყველა ეს წარმატება ჯერ მხოლოდ დასაწყისია ახალი გასაცვიფრებელი მიღწევებისა ბუნების ამ უდიდესი ძალის გამოყენებაში ადამიანის საკეთილდღეოდ.

ძ ღ ი ე რ ე ბ ი ს ც ი ფ რ ე ბ ი

ჩვენს ქვეყანაში ელექტროფიკაციის უმაგალითო გაქანებას მოწმობს ციფრები, რომლებიც ჩაწერილია ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის გეგმაში. ამ გეგმის მიხედვით 1950 წლის ბოლოს სოფელ ადგილებში მოქმედებას დაიწყებს 46 ათასი საკოლმეურნეო ელექტროსადგური. ეს თითქმის ერთიხუთად მეტი იქნება, ვიდრე ომამდე იყო. სასოფლო სადგურები ელექტრონის ენერგიით უზრუნველყოფენ 70 ათას კოლმეურნეობას. ჩვენი ქვეყნის სასოფლო რაიონებში ელექტროენერგიის მოხმარება, ომამდელ წლებთან შედარებით, ერთირვად გაიზარდა.

სოფლად ელექტროფიკაციის პროგრამის შესრულება ჩვენს ქვეყანას უდიდეს ეკონომიას მისცემს.

ელექტროფიკაცია ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად გაიზრდება. თანდათან მოისპობა მძიმე შრომა. ახლო მომავალში მუშები და კოლმეურნეები მუშაობაში მხოლოდ სხვადასხვა სახის ელექტრომანქანებითა და აპარატებით იმუშავებენ.

ამის გასახორციელებლად საჭიროა ასობით და ათასობით ახალი მეცნიერი, ინჟინერი, მშენებელი შესანიშნავი ელექტროფაბრიკებისა, გამომგონებელი ელექტრომანქანებისა.

საბჭოთა ქვეყანაში განუწყვეტლად იზრდებიან ასეთი ადამიანები. ახალგაზრდობა შეუპოვრად ეუფლება ცოდნას, რათა წინ წასწიოს მეცნიერება და ბუნების მთელი ძალები ამსახუროს თავის ხალხს.

ასე სრულდება დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ერთი დიადი ანდერძთაგანი — ჩვენი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

თ. ვეიგკოვი



ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ნაწყვეტი)

ჩვენი პარტია
ერთიანი
ურაგანია,
მტკიცედ შეკრული,
თავის რიგებს
კვლავ რომ ამაგრებს;
ის ისე ჰგლეჯს და
ანადგურებს
მტრის სიმაგრეებს,
როგორც ქვემეხთა
ურაგანი
ყურის ბარაბნებს.

ეული კაცი
ქვეყნად არის
ყელგამოჭრილი,
მარტოხელობა
ჭამაშიაც
შესაბრალია,
ყველა ძლიერი
მარტოხელას
დაიმორჩილებს,
სუსტებიც სძლევენ,
თუ სუსტები
ერთად არიან.

მაგრამ თუ მტკიცედ
შეკავშირდნენ
ეროვნულები,
მოჰკვდი მტარვალო!
წყეულ იყოს
შენი გაჩენა;
პარტია არის
მტკიცე მკლავი
მილიონების,
მუშტად შეკრული,
დამლეწავი
მკლავი მარჯვენა.

პარტია არის
მილიონთა
მხარი მრავალი
ერთურთს მიჯრილი,
როგორც უყვართ
ჩვეხში მეომრებს.
პარტია —
ქვეყნის მშენებლობა
ცად აღმავალი,
ერთ-ურთთან ძმობა,
რომ ამაღლებს
ერთი მეორეს.

მუშათა კლასის ხერხემალი
არის პარტია,
ის ჩვენი საქმის
ზეიმად სწამთ
ასიათასებს.
არ მიღალატებს,
არც არასდროს
უღალატნია;
სამეფოების
ბედს განვაგებ
ქვეყნის ქარტაზე.
კლასის გონება,
კლასის საქმე,
რაც გვინატრია,
კლასის დიდება
კლასის ძალა —
აი, პარტია.

ტყუპნი არიან
პარტია და
დიდი ლენინი,
ჩვენს ისტორიას
ორივ იგი
ერთგვარად ჰშვენის:
ვიტყვით — ლენინი,
პარტია გვაქვს
წარმოდგენილი,
ვიტყვით — პარტია
და გვულისხმობთ
ვლადიმერ ლენინს.

თარგმნა ირაკლი აბაშიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი

20 წელი ვლადიმერ მაიაკოვსკის გარდაცვალებიდან

მთელ საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს საბჭოთა პოეზიის ფუძემდებელი ვლადიმერ ვლადიმერის-ძე მაიაკოვსკი. „მაიაკოვსკი იყო და რჩება ჩვენი საბჭოთა ეპოქის საუკეთესო, უნიჭიერეს პოეტად", — თქვა დიდმა სტალინმა.

ვლადიმერ მაიაკოვსკი დაიბადა 1893 წლის 19 ივლისს საქართველოში, სოფელ ბაღდათში, რომელიც ქუთაისიდან ოცდაექვს კილომეტრზე მდებარეობს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 13 აპრილის ბრძანებულებით, პოეტის გარდაცვალების ათი წლისთავთან დაკავშირებით, სოფელ ბაღდათს სოფელი მაიაკოვსკი ეწოდა, ხოლო ბაღდათის რაიონს — მაიაკოვსკის რაიონი.

იმ სახლში, სადაც პოეტი დაიბადა და იზრდებოდა, ამჟამად მუზეუმია.

პოეტის მამა,—ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე მაიაკოვსკი, მეტყევე იყო. — მან საქართველოში 17 წელი იძუშავა. იგი ადგილობრივ მოსახლეობაში პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა. ბაღდათში დღესაც გულთბილად იგონებენ მაიაკოვსკის ოჯახს.

პატარა ვლადიმერ ვლადიმერის-ძე აქ, იმერეთის ამ შესანიშნავ მხარეში, მდინარე ხანისწყლის პირას, ბაღდათის ლამაზი ცის ქვეშ, ნორჩ ქართველ მეგობრებთან ერთად დანავარდობდა და ტკბებოდა ბუნების სიმშვენიერით.

1902 წელს ვ. მაიაკოვსკი გამოცდებს აბარებს ქუთაისის ვაჟთა გიმნაზიაში. აი, რას ამბობს პოეტი ამ სამახსოვრო ამბავზე:

„...გამოცდა გიმნაზიაში ჩავაბარე. მკითხეს ღუზის შესახებ (ჩემს სახელოზე იყო გამოსახული) — ვიცოდი კარგად. მაგრამ მღვდელმა მკითხა—რა არის „ოკო". მივუგე: „სამი გირვანქა" მეთქი (ასეა ქართულად*). თავაზიანმა ეგზამენატორებმა განმიმარტეს, „ოკო" „თვალია" ძველ სლავურადო. ამის გამო კინაღამ ჩავიჭერი..."

მომავალი პოეტი გიმნაზიაში წარმატებით სწავლობდა. მოსწავლეებს იგი საიმედო მეგობრად მიაჩნდათ. ის თავისუფალ დროს დადიოდა რიონზე საბანაოდ, ამხანაგებსაც ასწავლიდა ცურვას.

ქუთაისის გიმნაზიის მოსწავლეებზე დასავლეთ საქართველოს ბოლშევიკური ორგანიზაციების საქმიანობა უდიდეს რევოლუციურ გავლენას ახდენდა. ამით უნდა აიხსნას ის ფაქტი, რომ 1904 წელს გაფიცვებსა და დემონსტრაციებზე მოსწავლე ახალგაზრდობამ მტკიცედ მოითხოვა: საღვთო სჯულის სწავლების გაუქმება, ქართული ენის სწავლების შემოღება და რეაქციულად განწყობილ მასწავლებელთა გაძევება.

ვლ. მაიაკოვსკი მაშინ მესამე კლასში იყო. იგი მონაწილეობდა გიმნაზიის გაფიცვებსა და დემონსტრაციებში, როგორც მესამე კლასის დელეგატი.

პოეტის ოჯახი მამის გარდაცვალების (1906 წ.) შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა მოსკოვში.

ახალგაზრდა მაიაკოვსკი იძულებული გახდა ხატვას შესდგომოდა და მით მოეპოვებინა არსებობის საშუალება. პარალელურად

---

* ნაგულისხმევია ოყა, წონის საზომი — სამ გირვანქას უდრის. რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცადინეობდა. სწავლობდა მოსკოვის მეხუთე გიმნაზიაში.

ვლ. მაიაკოვსკი 15 წლის ასაკში ეცნობა და მტკიცედ უკავშირდება მოსკოვის რევოლუციურ ახალგაზრდობას. კითხულობს მარქსისტულ ლიტერატურას, ეწევა პროპაგანდისტულ მუშაობას. რამდენჯერმე დააპატიმრეს. საპატიმროდან გამოსვლის შემდეგ ვლ. მაიაკოვსკი შედის მხატვრობის, მოქანდაკეობისა და ხუროთმოძღვრების სასწავლებელში. აქ მან საოცარი სურათი ნახა: მიმბაძველებს ქება-დიდებას ასხამდნენ, ხოლო დამოუკიდებლებს, ვინც ორიგინალურ ნაწარმოებს ქმნიდა — ერეკებოდნენ. მაიაკოვსკი დადგა იმათ მხარეზე, ვისაც ერეკებოდნენ.

ამ ნაბიჯის გადადგმით ნათელი გახდა, რომ მოსწავლე ვლადიმერ მაიაკოვსკი არ იყო მონა მაშინ სახელმძღვანელოდ მიღებული შაბლონისა, იგი პატივსა სცემდა და ეძიებდა ახალს.

განვლეს წლებმა. მაიაკოვსკი უკვე დიდი პოეტი გახდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დავიწყებია საქართველო, სადაც დაიბადა დ ბავშვობა გაატარა.

მაიაკოვსკი მღერის საქართველოზე

ქართლო, სიუხვით ყელამდე სავსევ,
ნატვრისთვალივით მომესურვები,
სარაჯიშვილის სიმღერის ხმაზე
ყელს იღერებენ სალამურები.

ასი მზის შუქი ელავს თვალებში,
მშობლიურ ცისქვეშ დავიგულები,
ამ სიმღერის და ვარდის მხარეში
ტალღა წამიღებს თაიგულების.

შენი ვალი მაქვს ბაღდათის ზეცავ,
მინდა მოვხარო შენს წინ მუხლები,
შენი ვალი მაქვს ბაღდათის ცეზავ,
ჩემს სიცოცხლეში გადაუხდელი!

კვლავ მზის ნათელი ფერი მიტაცებს,
აპრილთან ერთად მოვსულვარ შენთან,
ამ სიმღერის და ლექსის მიწაზე
ლექსების გარდა რა უნდა მეთქვა!

ამიტომ არის—მანძილებს ვკეცავ,
ქართლს იქით საით გადაუხვევდი?!
შენი ვალი მაქვს ბაღდათის ზეცავ,
ვალი მარადჟამს გადაუხდელი!

ვახტანგ გოგოლაშვილი

ქ. ქუთაისის რკინიგზის № 20 საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლე

იგი ლექსში „საუბარი ფინინსპექტორთან პოეზიის შესახებ“ სიყვარულით წარმოსთქვამს: „ვალი მაქვს შენი, მოწმენდილო ბაღდათის ზეცავ...“ მეორე შესანიშნავ ლექსს „ვლადიკავკაზი-თბილისი“ პოეტი ამგვარად იწყებს:

„როგორც კი დავადგი ფეხი კავკასიონს,
მყისვე მომაგონდა, რომ მე ქართველი ვარ“.

1915 წელს საბჭოთა მწერლობის ფუძემდებელმა მაქსიმ გორკიმ წაიკითხა ვლ. მაიაკოვსკის პოემა „შარვლიანი ღრუბელი“. ნაწარმოებმა გორკზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. ამ დროიდან მ. გორკი დახმარებას უწევდა პოეტს. იგი აფასებდა ვლ. მაიაკოვსკის, როგორც „დიდი ტალანტისა და ახალი სიტყვის პოეტს“.

ვლ. მაიაკოვსკი აღაფრთოვანა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ამ რევოლუციამ მისცა მას შემოქმედებითი გაფურჩქნის საშუალება.

სამოქალაქო ომის წლებში ვლადიმერ მაიაკოვსკი წერდა მგზნებარე ლექსებს და მუშაობდა „როსტაში“ (რუსეთის დეპეშათა სააგენტო) ეგრეთწოდებულ „როსტას ფანჯრების“ გამოსაშვებად. „როსტას ფანჯრები“ თავისებური სააგიტაციო ფურცლები იყო. შინაური და გარეშე მტრების კარიკატურების ქვეშ თავსდებოდა მაიაკოვსკის ტექსტი ლექსად. პოეტის ეს სტრიქონები მტრისათვის ლახვარს წარმოადგენდა.

ასე იბრძოდა პოეტი ჯარისკაცი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვარის დასაცავად.

ახალგაზრდობაში პოპულარობით სარგებლობს ვლ. მაიაკოვსკის მრავალი ნაწარმოები. მათ შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია ლექსს „საბჭოთა პასპორტი“:

პოეტი მიემგზავრება საზღვარგარეთ. ვაგონში მგზავრებს პასპორტებს უსინჯავენ. მოხელე პატივისცემით იღებს ხელში ინგლისელის პასპორტს, რომელსაც ლომის ემბლემა აზის. მოხელე გადაჭარბებული თავაზიანობით „დნება“, როცა იღებს ამერიკელის პასპორტს. მაგრამ აი მოხელე ახლა ვ. მაიაკოვსკის წინაშე დგას. აქ სიტყვა მივცეთ თვითონ პოეტს: „თითქოს მდუღარემ ტუჩები დაწვა, მოექცა ყბები ამ ადამიანს, როს თვალი მოჰკრა და ხელით დასწვდა ჩემს ბაშფორთელას წითელკანიანს“.

დიახ, ასე შეხედა კაპიტალისტური სამყაროს წარმომადგენელმა საბჭოთა მოქალა-

ქეობის ძვირფას დოკუმენტს. — მან მოჰკიდა ხელი საბჭოთა პასპორტს, როგორც სამართებელს ორპირგალესილს, როგორც ზღარბს, ან ათასნაირ შხამით დამგესლავ გველს. მაიაკოვსკი აღიმართება მთელი სიმაღლით და ეკითხებს: „...წაიკითხეთ, აღივსეთ ჯიბრით: საბჭოთა ქვეყნის ვარ მოქალაქე“.

1925 წელს ვლ. მაიაკოვსკი ამერიკაში ჩავიდა. იგი ერთხელ კიდევ დარწმუნდა, რომ ამერიკა შრომელთათვის საპყრობილეა, რომ იქ ყველაფერი მხოლოდ ერთი მუჭა კაპიტალისტებისათვის არსებობს.

უცხოეთზე დაწერილ ლექსებში პოეტმა მთელი მგზნებარეობით უმღერა თავის სოციალისტურ სამშობლოს, ეროვნული სიამაყის გრძნობას.

საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესმა პოეტმა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ათი წლისთავს მიუძღვნა შესანიშნავი პოემა „კარგია“. პოეტი აღფრთოვანებულია იმით, რომ მას დაჰყურებს ზეცა ლურჯი, ფარჩისფერი, რომ არ ახსოვს ხანა ასე მშვენიერი.

პოემაში „ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი“ მკაფიოდ, ნათელი ფერებით არის მოცემული დიდი ლენინის სახე, მაღალმხატვრულადაა გამუქებული ლენინ-სტალინის პარტიის უდიდესი როლი. პოეტი გვეუბნება: „კლასის გონება, კლასის საქმე, რაც გვინატრია, კლასის დიდება, კლასის ძალა — აი, პარტია“.

ვლ. მაიაკოვსკის მრავალ ლექსს მღერის ხალხი, საბჭოთა არმია. ერთ-ერთი ასეთი პოპულარული ლექსია „მარცხენა მარში“.

ახალგაზრდობის საყვარელი ლექსია „ხელში ახალ შაშხანებით“. ეს მოწოდებაა სამხედრო საქმის დაუფლებისაკენ. „ხელში ახალ შაშხანებით, ხიშტზე ალმის ეშხით, სიმღერით, ალტაცებით, შევალთ მსროლელთ წრეში“.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ლექსი „რა არის კარგი და რა არის ცუდი“. ვლ. მაიაკოვსკიმ ეს საბავშვო ლექსი 1925 წელს დაწერა.

ამ ლექსით პოეტი საბჭოთა ბავშვებს უნერგავს შრომის სიყვარულს, მოუწოდებს ახალ თაობას მამაცობისაკენ და ქმნის საზოგადოებრივ აზრს იმათ წინააღმდეგ, ვინც სისუფთავეს არ იცავს, ვინც ზარმაცია და დაუდევარი.

ასევე პოპულარულია ვ. მაიაკოვსკის ლექსი „რა უნდა გამოვიდე“.

ვლადიმერ მაიაკოვსკი რევოლუციის პოეტია. მას მჭიდრო კავშირი ჰქონდა თავის ხალხთან, ლენინ-სტალინის პარტიასთან. მან მთელი თავისი ძლიერი პოეტური ძალა „მოიერიშე კლასს“ შესწირა.

საბჭოთა ხალხი, ჩვენი ახალგაზრდობა ამაყობს სტალინური ეპოქის უნიჭიერესი პოეტის ვლადიმერ მაიაკოვსკის უკვდავი შემოქმედებით.

შალვა შენგელი



ვლ. მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმი მაიაკოვსკში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბა ლამაზად ბრუნავს ჩარხი,
ვეება და მალი.
აქეთ-იქით, აქეთ-იქით
ცვივა ნაპერწკალი.

დაზგებს გააქვთ დაგადუგი,
გული უცემთ თითქოს,
ადნობენ და თან ასხამენ
ყალიბებში ლითონს.

ღუმელებთან აღმართულა
ქვანახშირის მთები.
თეთრად, ყვითლად ლივლივებენ
სავსე ყალიბები.

დაჰხარიან ჭაბუკები
ძმადშეფიცულ ჩარხებს,
ხელებიდან ცეცხლი სცვივათ,
სულ უღიმით სახე.

დაჭკრავენ და გაიტანენ
კოხტად, მარჯვედ, სწრაფად.

მთელ დღეს ისე ტრიალებენ,
მკლავს არ მოსდის ჯაფა.

თვითონ ჭედენ ნაწილებს და
თვით აწყობენ აქვე.
ასე როგორ დაეუფლნენ
ამ საყვარელ საქმეს!

დაზგების თუ მანქანების
უყვართ კარგი მოვლა.
ერთი თვეა დაამთავრეს
სახელოსნო სკოლა.

ისე მარჯვედ ადუღებენ,
ისე ჭრიან ლითონს,
ქარხანაში, ამ დაზგებთან
აქ დაბერდნენ თითქოს.

დაჰხარიან ჭაბუკები
ძმადშეფიცულ ჩარხებს,
ხელებიდან ცეცხლი სცვივათ,
სულ უღიმით სახე.

ვახტანგ გორგანელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნანო კანდელაკი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

მხატვ. გ. დიკი

ძია გიორგი... ასე ეძახდა დიდი თუ პატარა სტალინის სახელობის ქარხნის ძველ მუშას გიორგი ბაქრაძეს. მას ერთი ოთახი ეკავა მრავალსართულიანი სახლის მეორე სართულზე. იშვიათად ხედავდნენ მას მეზობლები. იგი დილაადრიან, საყვირის ხმაზე გადიოდა სახლიდან და შინ სადილობისას ბრუნდებოდა. დაბრუნდებოდა თუ არა ქარხნიდან, თავის ოთახში ჩაიკეტებოდა.

ყოველთვის ასეთი როდი იყო ძია გიორგი. მაგრამ ომის დაწყებულმა თვალმა მის ოთახშიც შეიხედა და ცხარე ცრემლი აფრქვევინა ძია გიორგის. მისი ერთადერთი შვილი გმირის სიკვდილით დაეცა ბრძოლის ველზე სამშობლოს თავისუფლებისათვის.

შვილის სიკვდილმა ძლიერ იმოქმედა ძია გიორგიზე. მთლად შეიცვალა მოხუცი. იგი ერიდებოდა ყველას, ერიდებოდა ლაპარაკს და ზოგჯერ სალამსაც კი. მეზობლებიც თავს არ აბეზრებდნენ. იცოდნენ გიორგის დუმილის მიზეზი და ცდილობდნენ არ შეეწუხებინათ. ბავშვები კი ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ გულჩათხრობილ მოხუცს. ქარხნიდან დაბრუნებულს წმირად ალაყაფის კართან ხვდებოდნენ, ცდილობდნენ გამოლაპარაკებას, მაგრამ ამაოდ, ძია გიორგი მხოლოდ ნაღვლიანად გადახედავდა მათ და გზას განაგრძობდა.

* * *

— გაიგეთ ახალი ამბავი?.. — ჩამოირბინა რეზომ ამ სიტყვებით კიბე და ეზოში ტოლებს შეერია.

— „დინამოს“ გუნდი მოიგებდა! — მიაძახა ნოდარმა.

— არა...—თქვა სიცილით რეზომ.

— მოზარდ მაყურებელთა თეატრში ახალი დადგმა იქნება, ალბათ! — შემოჰკრა ტაში ნუნუმ და ერთ ადგილას ტრიალი დაიწყო.

— არა...—გაიცინა კვლავ რეზომ.

— მამამ ბურთი გიყიდა?!—ჩაერია რამაზი.

— არა...—იცინოდა გახარებული რეზო.

— არა და არა... გააწყალე გული...—შენიშნა წყენით რუსიკომ, — გვითხარი რა მოხდა?

— ძია გიორგის... სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა. — თქვა ხმამაღლა რეზომ.

— ძია გიორგის? — შეჰკივლეს აღფრთოვანებულმა ბავშვებმა.

— ვინ გითხრა? — ისმოდა აქეთ-იქიდან.

— აი, ახლა გაზეთი მოიტანა დამტარებელმა, და წავიკითხე.

— სოციალისტური შრომის გმირი... უმაღლესი ჯილდო...—წაილუღლუღა ნუნუმ.

— ძია გიორგი, — განაგრძო რეზომ,—თავის სამუშაო გეგმას ყოველთვიურად ათასი—ათას ორასი პროცენტით ასრულებს.

— ათას ორასი პროცენტით? — გაიკვირვა რამაზმა.

„უუუ—უ—უ“,—გაისმა საყვირის ხმა.

— ჩუმად! გესმით საყვირის ხმა? — გააჩუმა ყველანი ნუნუმ. — ქარხანაში მუშაობა დამთავრდა. სადაცაა ძია გიორგიც მოვა... ბავშვებო, შეხვედრა მოვუწყოთ ძია გიორგის!

— კარგი აზრია, — დაეთანხმა ნუნუს რეზო. — იგი ხომ მარტოხელაა, აბა, შინ ვინ მიულოცავს ამ დიდ ჯილდოს? ძია გიორგის ძალიან ესიამოვნება, ჩვენ რომ მის სიხარულს გავიზიარებთ.

— მოვუწყოთ შეხვედრა ძია გიორგის!..— შესძახეს ბავშვებმა.

— შენ ითავე, რეზო, შეხვედრის მოწყობა; შენ ხომ ჩვენი ეზოს „ფალავანი“ ხარ! — უთხრა რეზოს ნოდარმა.

— კარგი, შეხვედრის მოწყობას მე ვუხელმძღვანელებ თუ თქვენც დამეხმარებით. ნოდარ, შენ იტყვი მისასალმებელ სიტყვას ბავშვების სახელით.

— შინ გავიქცევი, ტექსტს შევადგენ. — დაეთანხმა უმალ ნოდარი და მოჰკურცხლა.

— ნუნუ, რუსიკო! თქვენ თაიგულებს მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ართმევთ ძია გიორგის, — განაგრძობდა რეზო მეგობრებისათვის დავალების მიცემას.

— ყვავილები სად ვიშოვოთ? — იკითხა რუსიკომ.

— მე მოვიტან სახლიდან! — თქვა ნუნუმ და შინ გაიქცა.

— დახარჩენებმა ეზო მოვიყვანოთ წესრიგზე,—უთხრა ბავშვებს რეზომ და საქმეს შეუდგა, ბავშვებიც მას მიჰყვნენ.

— თენგიზ და გია, თქვენ, ძია გიორგის გამოჩენისთანავე, დაფს შემოჰკრავთ. აბა, ძარდად შინისაკენ, მოიტანეთ თქვენი დოლები! — ეს დაავალა პატარა თენგიზს და გიას რეზომ და განაგრძო ეზოს დასუფთავება.

თენგიზმა და გიამ სიხარულით ტაში შემოჰკრეს და დოლების მოსატანად გაიქცნენ. სულ პატარა მანანას და მარინეს, თუმცა ვერ გაეგოთ, რატომ ფუსფუსებდნენ ბავშვები, მაგრამ გრძნობდნენ რაღაცა საინტერესო უნდა მომხდარიყო და არ შორდებოდნენ უფროს ბავშვებს.

გამოჩნდა ნოდარი, მას პიონერის ყელსახვევი გაეკეთებია და ამაყად მოდიოდა.

— წაიკითხე მილოცვის ტექსტი! — მიაწოდა მან რეზოს გაკრული ხელით დაწერილი ფურცელი.

რეზომ სწრაფად გადაათვალიერა ტექსტი.

— კარგია, ძალიან კარგია... ახლა იმაზე იფიქრე, როგორ იტყვი აქ დაწერილს.

— ეზო მოყვანილია წესრიგზე! — მოახსენა რამაზმა რეზოს, — მე მგონი დროა უკვე მოვეწყოთ.

შეხვედრის სამზადისის შესახებ გაიგო ეზოს ყველა ბავშვმა, ეზო აივსო გოგონებითა და ვაჟებით. რეზომ ყველანი სიმაღლის მიხედვით დაამწკრივა. პატარა მანანა და მარინე პირველ რიგში დააყენა. უხაროდათ პატარებს, რომ ისინიც ზეიმში იღებდნენ მონაწილეობას.

გამოჩნდა ნუნუ დიდი თაიგულით ხელში. მან საჩქაროთ გაუყო თაიგული რუსიკოს და ორივენი ჩადგნენ მწკრივში.

— თენგიზ, გია!.. სად არიან?.. საცაა ძია გიორგიც გამოჩნდება! — ღელავდა რამაზი.

— ნუ ღელავ, ყველაფერი რიგზე იქნება, — დაამშვიდა რეზომ რამაზი და თვითონაც გასძახა მედოლეებს.

გამოჩნდნენ ისინიც. რეზომ მედოლეები მწკრივის წინ დააყენა და თვითონ კი ბავშვთა გუნდს გვერდზე დაუდგა.

მოეწყვნენ ყველანი... არ წყდება მითქმა-მოთქმა... მოუთმენლად ელოდებიან მეთვალყურის ნიშანს — და აი, მორბის გურამიც ყვირილით:

— მოდის, მოდის!..

ძია გიორგი ჩვეულებისამებრ დაღვრემილი არ შემოვიდა ეზოში. მის სახეს ნათელი გადაჰკროდა.

გაისმა დაფის ხმა...

— მოგვილოცავს მთავრობის უმაღლესი ჯილდო! — იგრიალა ბავშვთა გუნდმა.

ძია გიორგი მოულოდნელობისაგან წაბარბაცდა, მაგრამ სწრაფად შეჩერდა, დაინახა ჩამწკრივებული ბავშვები და გაუღიმა მათ.

ბავშვები გათამამდნენ.

— ძია გიორგის ვაშა! ვაშა! ვაშა! — ისმოდა მხიარული ბავშვების შეძახილები.

ნოდარი გამოეყო ბავშვთა გუნდს. მან მოკლე სიტყვით, მთელი ეზოს ბავშვების სახელით, ძიულოცა ძია გიორგის მთავრობის ჯილდო. გოგოსებმა თაიგულები მიართვეს მოხუც გმირს.

ბავშვების ხმაზე გამოვიდნენ უფროსებიც. ისინიც სიხარულით ეხვეოდნენ მათს საყვარელ, ბედნიერ მეზობელს — ძია გიორგის. ულოცავდნენ გამარჯვებას. გიორგის სახეს ღიმილი არ შორდებოდა. იგი მადლობას ეუბნებოდა მეზობლებს, გულში იკრავდა მის გარშემო მყოფ ბავშვებს და სიხარულის ცრემლის შეშრობასაც ვერ ასწრებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძია გიორგის ვაშა! — გაისმა კვლავ საჰ-ჯერ.

იგრიალა ტაშმა.

— ჩემს ცხოვრებაში,—დაიწყო ძია გიორგიმ, როდესაც ყველანი დაწყნარდნენ, — ბევრჯერ განმიცდია სიხარული, მაგრამ ის, რასაც დღეს განვიცდი, ყველა სიხარულს აღემატება. მე ბედნიერი ვარ, რომ ვცხოვრობ ამ შესანიშნავ ეპოქაში — სტალინურ ეპოქაში. მხოლოდ ჩვენს ქვეყანაშია დაფასებული ადამიანის შრომა... მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში ადამიანის შრომა ხმარდება ხალხს და ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობას. ჩემო შვილებო!... ჩემო პატარა მეგობრებო!.. მე ბედნიერი ვარ, თქვენს მხიარულ სახეებს რომ ვხედავ. პარტია და ხელისუფლება არაფერს არ იშურებენ, რათა ჩვენს თაობას ბედნიერი და მშვიდი მომავალი ჰქონდეს. იყავით ჩვენი დედა-სამშობლოს ღირსეული შვილები, სტალინური ეპოქის ბედნიერო ყვავილებო!

კვლავ იგრიალა ტაშმა... გაისმა პიონერული სიმღერა. ძია გიორგი ტაშითა და შეძახილებით მიაცილეს მის ოთახამდე. მან განივრად გააღო ოთახის კარი და ბავშვების ჟრიამულმა კვლავ სიცოცხლე აღადგინა ძია გიორგის გულში.

უსურიის ვეფხვი თბილისის ზოოპარკში

საბჭოთა კავშირში გავრცელებულ ვეფხვებს შორის ერთი უდიდესთაგანია ის სახეობა, რომელიც უსურიის მხარეში ბინადრობს. ზოგიერთი ძათგანის წონა 200 კილოგრამს აღემატება. ერთი ასეთი გიგანტი ძუ ვეფხვი, თავისი ორი ლეკვით, უკანასკნელ 10-12 წლის მანძილზე პირველად შარშან გამოჩნდა უსურიის მხარის უღრან ტაიგაში. მისი ადგილსამყოფელი დაზვერეს გამოცდილმა მონადირეებმა ძმებმა კალაშნიკოვებმა. მათ მეტად რთულ პირობებში ხანგრძლივი და გულმოდგინე ძებნის შემდეგ, შორეულ ტაიგაში, სოფელ სედნაკის მიდამოებში, იპოვეს ამ მტაცებლის ბუნაგი. ბუნაგის მახლობლად იმ ბილიკზე, რომლითაც ვეფხვი სარჩოს საძებრად დადიოდა ხოლმე, ამოთხარეს ღრმა ორმო, შეახამეს იგი და დაუდგეს მისატყუებელი. მოლოდინი გამართლდა: სარჩოს საძებრად გამოსული ვეფხვი ორმოში ჩავარდა. მონადირეებმა ვეფხვი ორმოდან ზედაპირზე ამოიყვანეს საგანგებოდ მოწყობილ მავთულბადით, რომელიც ავტომატურად იკეტებოდა. ძუ ვეფხვთან ერთად დაჭერილ იქნა მისი მცირეასაკოვანი ლეკვებიც. ვეფხვები ძალლებგაბმულ მარხილზე მოათავსეს, ზედ ქურქები გადააფარეს, რომ ტაიგის სუსხიან ამინდში არ გაყინულიყვნენ, და „ზოოცენტრის“ დამამზადებელ პუნქტისაკენ გაეძართნენ. მარტო მარხილით გასავლელი იყო 5.000 კილომეტრზე მეტი მანძილი. ათასიოდე კილომეტრიდა უკლდათ მონადირეებს ჩასაბარებელ ბაზამდე მისაღწევად. ერთ-ერთი მორიგი შესვენებისა და ღამის თევის ძემდეგ მონადირეებმა მიაკითხეს თავიანთ ნანადირევს, ნახეს, რომ იმ ღამეს ვეფხვს გაეღრღნა მავთულბადე და გაპარულიყო უღრან ტაიგაში. მონადირენი იძულებული გახდნენ ვეფხვს მიჰყოლოდნენ კვალდაკვალ. ორ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში დევნის შემდეგ ძმებმა კალაშნიკოვებმა 1950 წლის 15 იანვარს დაღლილ-დაქანცული ვეფხვი დაიჭირეს რკინის მავთულბადით: იგი კვლავ მოათავსეს მარხილზე და უვნებლად ჩაიყვანეს „ზოოცენტრის“ ბაზაში, საიდანაც გამგზავრეს ქ. მოსკოვს. ამჟამად უსურიის მხარის გაუვალი ტაიგის მკვიდრი ეს ძუ ვეფხვი ამშვენებს თბილისის ზოოპარკს. ეს გიგანტური მტაცებელი, რომლის ასაკი დაახლოებით 5-6 წელს აღწევს, იწონის 200 კილოგრამზე მეტს. იგი ყოველდღეურად 10-12 კილოგრამ ხორცს ჭამს.

არჩ. ჯანაშვილი,
თბილისის ზოოპარკის სამეცნიერო ნაწილის გამგე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შენს ბაღჩაში, შენხე ნორჩი ხე არ ხარობს,
ვაშლის ნერგებს ტოტებამდეც ვერა წვდები...
გიყვარს ვაშლი? — კიდეც უნდა მოუარო,
რომ შენსავით შეეძატოს ნერგსაც წლები.

ტანს აიყრი, — გაიზრდება ვაშლის ნერგიც
და ფოთლებიც დაიწყებენ ლხენით ხმაურს,
შენ მათ ჩრდილში დაისვენებ, — და მათ გვერდით
გამოაჩენ მაგ ლოყების თურაშაულს.

მოუარე, ხესაც ისე მოუარე,
როგორც დედა დაგხარის და გივლის ნაზად,
რა სჯობია: — შენი ბაღჩის ხილსა სჭამდე
და ყოველთვის არ ეწვიო ხოლმე ბაზარს.

რა სჯობია ჩრდილში გებას საქანელა,
და გატკბობდეს ნუშის თეთრად ყვავილობა,
შენს ბაღჩაში პატიჟობდე გულით ყველას,
როცა იგრძნობ სიცხისაგან დაღლილობას.

ახალ ნერგებს წყალი უსხი ყოველ დილით,
შეეთვისე: ატმებს, ლელვებს და უნაბებს,
ზოგი სჭამე, ნაყოფი აქვთ მეტად ტკბილი,
ზოგიც თქვენებს დაუკრიფე სამურაბედ...

გახარებდეს, გულს გივსებდეს ხის შრიალი
და უდროოდ ფოთლის ცვენა გადარდებდეს,
ყვავილების და ხეხილის სიყვარულსა
ძუდამ, მუდამ გულით უნდა ატარებდე!

ვახტანგ ნადარეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დღის რეჟიმი

ოსწავლეს ყველაზე დიდი შრომა უწევს საშინაო დავალების შესრულებისას. აქ მთავარია დღის სწორი რეჟიმი. მართალია სხვადასხვა ასაკის ბავშვებისათვის დღის რეჟიმი ერთი და იგივე არ შეიძლება იყოს, მაგრამ მას თავისი საერთო მოთხოვნილებანი მაინც აქვს: მეცადინეობისათვის უნდა შეარჩიო ყველაზე ხელსაყრელი საათები; რომ კარგად იმუშაო კარგადაც უნდა დაისვენო, საკმაოდ იძინო და გარკვეული დრო სუფთა ჰაერზედაც დაჰყო; დღის განაწესი უნდა იყოს მუდმივი, რათა ორგანიზმი მიეჩვიოს შრომასა და დასვენებას განსაზღვრულ დროში.

განვიხილოთ, მაგალითად, ჩვეულებრივი სასწავლო დღე მეხუთე-მეშვიდე კლასელი მოსწავლისა, რომელიც პირველ ცვლაში სწავლობს.

როგორ უნდა დაგეგმო შენი დღე? — უმჯობესია ადგე დილის 7 საათზე; კარგია თუ ჯერ ფიზკულტურული ვარჯიშით დაიწყებ. ეს თავიდანვე შეგმატებს სიმხნევეს, ასწევს შენს შრომისუნარიანობას. დილის გამამხნევებელი ვარჯიშისა, დილის ტუალეტისა და საუზმის შემდეგ განიმეორე გაკვეთილი. იგი განგიმტკიცებს ცოდნას.

სკოლიდან დაბრუნების შემდეგ შინ უნდა იმეცადინო ყოველდღე განსაზღვრულ საათებში. შინ გაკვეთილების სწავლით, დამოუკიდებელი მუშაობით განამტკიცებ შენ შეგნებაში იმას, რაც მასწავლებლისაგან გაიგე კლასში.

რომელი საგნიდან დაიწყო? — პირველად უნდა მოჰკიდო ხელი იმ საგნის შესწავლას, რომელიც ყველაზე მეტ გონებრივ დაძაბულობას მოითხოვს. ჩვეულებრივ, ასეთია მათემატიკა, ფიზიკა, რუსული ენა. ყოველი ახალი გაკვეთილის მომზადების შემდეგ 7-10 წუთი შეისვენე, გაიარ-გამოიარე, გაისაუბრე შენიანებთან, მაგრამ გაკვეთილის სწავლის დროს მთელი გულისყური წიგნისაკენ მიმართე, ყურადღება არამცდა-არამც არ გაჰფანტო;

შინ უნდა იმეცადინო გეგმაშეწონილად, მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. თუ გაკვეთილებს არასისტემატურად სწავლობ, აუცილებლად ჩამორჩები კლასს.

დასვენებისათვის კარგად უნდა გამოიყენო კვირა დღე. ყველა გაკვეთილი შაბათს უნდა ამომწურავად ისწავლო, რათა კვირა დღეს შეგეძლოს კარგად დასვენება — მეცადინეობა სპორტში სუფთა ჰაერზე, ამხანაგებთან თამაში, საინტერესო წიგნის კითხვა.

თუ შენ საღამოს ცვლაში სწავლობ, სკოლიდან შინ დაბრუნებისთანავე გაკვეთილების მომზადებას კი არ შეუდგე, არამედ ცოტა გაისეირნე, დაისვენე, ივახშმე და მერე წაიკითხე საგნისათვის რეკომენდირებული დამხმარე ლიტერატურა. დილით ადექით არაუგვიანეს 8½ საათისა, რათა 9 საათზე უკვე მიუჯდე შენს გაკვეთილებს. 12 საათზე, დაამთავრე რა გაკვეთილების შესწავლა, დაისვენე, შეასრულე რაიმე შინაური, საოჯახო სამუშაო, პირველ საათზე ისადილე და შემდეგ წადი სკოლაში.

მოსწავლევ! მოასწარი თუ არა დღეს დილის გამამხნევებელი ვარჯიში, გაკვეთილების მომზადება, გარეშე წიგნის წაკითხვა? დაეხმარე თუ არა მშობლებს საოჯახო სამუშაოებში?

ზოგიერთ ბავშვს არაფრისათვის არა ჰყოფნის დრო, ხოლო სხვები ყოველ დღიურად ასწრებენ ყველა ზემოჩამოთვლილის გაკეთებას. როგორ აღწევენ ისინი ამას? — ისინი თვალისჩინივით უფრთხილდებიან დროს და სწორად ანაწილებენ მას. ორგანიზებული, დისციპლინიანი ბავშვები ჩვეულებრივ ადგენენ დღის რეჟიმს და ზუსტად იცავენ მას.

ადექი, ისაუზმე, ისადილე, ივახშმე და დასაძინებლად დაწექი ყოველთვის ერთსადაიმავე განსაზღვრულ საათებში. ეს დიდად მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისათვის. უნდა იძინო არანაკლებ 8–9 საათისა.

ადამიანები, რომლებიც იცავენ შრომისა და დასვენების რეჟიმს, უფრო მხნე, ჯანსაღნი და შრომისუნარიანი არიან, ისინი მეტის გაკეთებას ასწრებენ ცხოვრებაში და მათ მეტი სარგებლობაც მოაქვთ ჩვენი სამშობლოსათვის.

მოვუსმინოთ ხუთოსნებს მათს გამოცდილებაზე.



„სწავლა, სწ

„სწავლა, სწავლა და სწავლა!“ — თქვა ხალხთა დიდმა ბელადმა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

ჩვენი, ახალგაზრდა თაობის, მოვალეობაა განვახორციელოთ დიდი ბ

ლადის ეს სიტყვები, დავეწაფოთ სწავლას, ღრმად და საფუძვლიანად შევისწავლოთ ის საგნები, რომლებსაც სკოლაში გვასწავლიან, რათა საკმაო წვლილი შევიტანოთ სოციალისტური სამშობლოს შემდგომ აყვავებაში.

მე ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის VIII კლასის ხუთოსანი მოსწავლე ვარ. ჩვენს ჯგუფში ბევრია ძლიერი მოსწავლე. ვსწავლობთ გულდასმით და ბეჯითად. ამაში ხელს გვიწყობენ ჩვენი პედაგოგები და ჩვენი დღის განრიგები. პირადად ჩემი დღის განრიგი ასეთია:

ვდგები დილის 7 საათზე. 15 წუთს ვვარჯიშობ. შემდეგ ვსაუზმობ და ვიმეორებ გაკვეთილებს. 8 საათსა და 10 წუთზე გავდივარ სახლიდან, რათა 8 საათსა და 30 წუთზე სკოლაში ვიყო. გაკვეთილებზე გულდასმით ვუსმენ მასწავლებლებს და გამოძახებულ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

...ანთა ...ენა

...ა ...ა სწავლა"

სწავლეებს. თუ რომელიმე საკითხი ჩემთვის გაუგებარი დარჩა, მაშინვე შეკითხვას ვაძლევ მასწავლებელს. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ ვბრუნდები შინ და ვსაუზმობ. საუზმის შემდეგ ნახევარ საათს ვისვენებ. 3 საათზე ვიწყებ საშინაო დავალების შესრულებას. 5 საათზე ვსადილობ და შემდეგ მივდივარ მუსიკის გაკვეთილზე. მუსიკის გაკვეთილის შემდეგ მთელი საღამო ჩემს განკარგულებაშია. საღამოობით ვკითხულობ გარეშე ლიტერატურას. კვირაში ერთხელ-ორხელ დავდივარ კინოში, თეატრში, თავისუფალ დროს ვერთობი ამხანაგებთან, გულმოდგინედ ვაკეთებ ოჯახურ საქმეებსაც.

სკოლაში ჩამოყალიბებული გვაქვს რუსული ლიტერატურის, ფიზიკის, ქიმიის, გეომეტრიისა და სხვა წრეები. აქ ჩვენ ვიძენთ დამატებით ცოდნას, ვკამათობთ ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე.

გავიდა უკვე სამი მეოთხედი. ერთი მეოთხედიც, და ჩვენ შევუდგებით გამოცდების ჩაბარებას. ყოველი ჩვენგანი ცდილობს აიმაღლოს აკადემიური წარმატება. ჩვენი უნეტარესი სურვილია — მივიღოთ საფუძვლიანი სწავლა-განათლება. ნორჩმა თაობამ კარგად იცის დიდი ქართველი პოეტის დ. გურამიშვილის სიტყვები:

„სწავლა სიკვდიმდე შენია,
მუდამ შენთანა მყოფელი,
მას გეცილების ვერავინ,
არ არის გასაყოფელი!"

უსაზღვრო მადლობითაა აღსავსე ჩვენი გული ხალხთა დიდი ბელადისადმი, მშობლიური სტალინისადმი, რომელმაც მოგვანიჭა განათლების, შრომისა და დასვენების უფლებები.

ნანო სიხარულიძე,
ქ. თბილისის ქალთა მე-6 საშუალო სკოლის VIII² კლასის მოსწავლე.

რომ ვიყო მოწინავეთა რიგებში

წარჩინებული სწავლისათვის აუცილებელია დროის წესიერი განაწილება. ვითვალისწინებ რა ამას, ჩემი დღიური ცხოვრება და მუშაობა ზუსტად მაქვს განაწილებული დროის მიხედვით. გაკვეთილებს მუდამ გულმოდგინედ და საფუძვლიანად ვსწავლობ.

კლასგარეშე წიგნებს ვკითხულობ სარეკომენდაციო სიის მიხედვით, რომელიც შედგენილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დ. ჭაბუკიანის მიერ.

ყველა პიონერის მოვალეობაა არა მარტო ხუთებზე სწავლა, არამედ აგრეთვე სკოლის საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობა. მე პიონერული რაზმის საბჭოს თავმჯდომარე ვარ და ამხანაგებთან ერთად ყოველ ღონეს ვხმარობ, რათა კლასში არც ერთი მოსწავლე არ ჩამორჩეს, არ დაირღვეს დისციპლინა. ამაში დიდ დახმარებას გვიწევს კლასის ხელმძღვანელი, პატივცემული მასწავლებელი გ. გაბიტაშვილი. ჩვენ — მოვალენი ვართ ღირსეულად ვატაროთ საბჭოთა მოსწავლის საპატიო სახელი, გავამართლოთ დიდი ბელადის იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის მშობლიური ამაგი და

მზრუნველობა. თვითეული ჩვენგანის უწმინდესი ოცნებაა — ჩავდგეთ კომუნიზმის მშენებელთა ფართო რიგებში.

მერაბ თაქთაქიშვილი,
თბილისის ვაჟთა მე-7 საშ. სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ხუთოსნობას შრომით ვაღწევ

პირველ კლასიდანვე ხუთოსანი ვარ. არ გეგონოთ, რომ ხუთოსნობა თავისით მოდიოდეს. არა, ხუთოსნობის მიღებას შრომა უნდა, ბეჯითი შრომა.

გულდასმით ვუსმენ კლასში მას-

წავლებელს, რომ მისი წარმოთქმული არც ერთი წინადადება არ გამომეპაროს, რომ უფრო ადრე და კარგად შევითვისო ახალი გაკვეთილი.

შინ დაბრუნების შემდეგ ჯერ ვსადილობ და ვისვენებ, აღვიდგენ დახარჯულ ენერგიას. შემდეგ მივუჯდები ჩემს საწერ მაგიდას. ჯერ ვამზადებ ყველაზე უფრო რთულსა და ძნელ გაკვეთილს, ხოლო შემდეგ უფრო მარტივსა და ადვილს. დაწესებული დღის რეჟიმის საშუალებით გაკვეთილებს მალე ვამზადებ და გასართობადაც საკმაო დრო მრჩება.

ვეწაფები კლასგარეშე ლიტერატურასაც. ვგრძნობ, რომ თვითეული წიგნის წაკითხვის შემდეგ ცოდნა მემატება. ვკითხულობ როგორც ქართულ, ისე რუსულ წიგნებს. წაკითხული წიგნების სიას ცალკე რვეულში ვიწერ და გვერდით შენიშვნებს ვუკეთებ, რომ უფრო დიდხანს დამამახსოვრდეს თვითეული წიგნის შინაარსი. ვსწავლობ და მეხსიერებიდან არ მშორდება იოსებ ბესარიონის-ძე სტალინის სიტყვები: რომ აშენო, უნდა იცოდე და რომ იცოდე, უნდა ისწავლო!

მზია მინდაძე,
თბილისის ქალთა მე-6 სკოლის VI კლასის მოსწავლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამსოვრო გაკვეთილი

ლავრენტი ჭიჭინაძე

მხატვ. ა. გოგოლაშვილი

მოთხრობა

ერთ მერხზე ჯდომას შეჩვეული ანდრო და ვანო ამ სექტემბერშიც—სწავლის დაწყების დღეს ისევ ერთად დასხდნენ: ღირსეულად იფერებენ ძეშვიდე კლასელობას, აღარ ახცობენ, თვალებში შესცქერიან ზაფხულის არდადეგების პერიოდში ძონატრებულ მასწავლებლებს, საყვარელი აღმზრდელების ყოველ სიტყვას ყურადღებით იბეჭდავენ გულში.

გაკვეთილების შემდეგ ბავშვები შინ რომ ბრუნდებოდნენ, გატაცებით საუბრობდნენ პირველი დღის შთაბეჭდილებებზე. ანდრო და ვანოც ამ შთაბეჭდილებებით იყვნენ გატაცებული. ბევრი ილაპარაკეს მასწავლებლებზე. ზოგიერთ ამხანაგს ისიც უწინასწარმეტყველეს, თუ რა ნიშანზე შეძლებდა სწავლას. ზოგზე ამბობდნენ ხუთებზე ისწავლისო, ზოგი კი სამებზეო. აქ ანდრო უცებ ამხანაგს შეეკითხა:

—მეშვიდე კლასში მე და შენ ხომ სამიანებით გადმოვედით?

—შენ ცუდი მეხსიერება გქონია. ოთხიც ხომ მქონდა..., — უპასუხა ვანომ ოდნავი წყრომით ამხანაგს.

ანდრო მიხვდა, რასაც ფიქრობდა ვანო.

— ფიზკულტურის ოთხიანი?! ჰო, მესმის —იქ ყოფაქცევის ხუთიანიც იყო... მაგრამ, მერე ჩემო ძმაო, მარტო ამით ამაყობ?

— არ ვამაყობ, მაგრამ...

— წელს, ძმაო, სულ ოთხებზე და ხუთებზე უნდა ვისწავლოთ!—უთხრა მტკიცედ ანდრომ და ვანოს მეგობრულად მხარზე ხელი გადასდო, — რას იტყვი? — დაუმატა მერე მან.

ვანომ სერიოზულად შეხედა ამხანაგს და გზა განაგრძო.

— კარგი სურვილია, ვეცადოთ! — თითქოს თავისთვის, დინჯად ჩაილაპარაკა მან.

—ეს არ კმარა... პირობა დავდოთ, რომ წარჩინებით ვისწავლით.

მეგობრებიც შეთანხმდნენ. პირობის სიმტკიცის დასადასტურებლად ერთმანეთს ხელიც ჩამოართვეს.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა. მასწავლებლები ნიშნების წერას შეუდგნენ. ახალ საკლასო ჟურნალში ლამაზი ოთხიანები და ხუთიანები გამოჩნდა, თუმცა ჟურნალს არც სამიანები აკლდა. აქა-იქ ორიანებმაც გამოაჭყიტეს თვალი. ორიანებმა პიონერულ რგოლებში აღშფოთება გამოიწვია. რგოლის ხელმძღვანელებმა თავიანთი რგოლის წევრები შეკრიბეს და ორიანების შესახებ დააყენეს საკითხი: მოწინავე მოსწავლეები ჩამორჩენილებს მიუჩინეს. ჩამორჩენილებს მეტი პასუხისმგებლობა დააკისრეს, უფროსებს მასწავლებლისათვის უფრო ხშირად და გაბედულად მიეცათ შეკითხვები გაურკვეველ საკითხებზე.

სწავლის დაწყებიდან მეორე კვირა მიიწურა. ჯერჯერობით გაკვეთილი არც ანდროსათვის უკითხავთ და არც ვანოსათვის.

ერთხელ სკოლიდან ანდრო გაჯავრებული ბრუნდებოდა. ყმაწვილმა თავისი გულისტკივილი ამხანაგსაც გაუზიარა.

— გაკვეთილებს ყოველთვის კარგად ვამზადებ და არც ერთი მასწავლებელი არ მეკითხება.

ვანომ უდარდელად გადაიხარხარა:

— იჰ, მოგცლია,—უთხრა ანდროს,—სწავლა გუშინწინ დაიწყო. ასე უცებ რაღა ჩვენ შეგვეკითხებიან? ჩვენი გვარები სადღაც სიის შუაშია ჩაკარგული.

— ვანო, შენ ხომ არ დაგავიწყდა ჩვენი პირობა?!—გაკვირვებით მიმართა ანდრომ.

— პირობას როგორ ვუღალატებ?!— მკვახედ უპასუხა ვანომ. ამხანაგის მიერ დაეჭვე-

ბით ნათქვამი, პირადი თავმოყვარეობის შელახვად მიიღო.

* * *

მეშვიდე კლასში გეოგრაფიის გაკვეთილია. კედელზე გაკრულია უზარმაზარი რუკა. იქვე მიყუდებულია ლამაზად გათლილი გრძელი თეთრი ჯოხი. ბავშვები სულგანაბული უცქირიან არჩილ მასწავლებელს, რომელმაც საკლასო ჟურნალი გაშალა, ჯერ სია ამოიკითხა, მერე გამოსაკითხავად მოსწავლეთა გვარები ჩაათვალიერა. ამასაც მორჩა, ბოლოს სათვალე გაისწორა და ბავშვებს გადახედა. მასწავლებლისა და ანდროს თვალი როცა ერთმანეთს შეხვდნენ, ბავშვს სიხარულით წარბი გაეხსნა. ვანომ კი, პირიქით, როცა მასწავლებელმა შეხედა, თავი სწორედ მაშინ ჩაღუნა, წიგნს დაუწყო ფურცვლა.

მასწავლებელმა ისევ ჟურნალში ჩაიხედა, ანდრო გამოიძახა. ბავშვი მკვირცხლად წამოხტა, კედელზე გაკრული რუკისაკენ გაეშურა. ანდრომ ჯოხი მოიმარჯვა და გაკვეთილის მოყოლას შეუდგა, ლაპარაკი სხაპასხუპით განაგრძო. ბავშვი მოყოლის დროს, როცა ქალაქს დაასახელებდა, ჯოხის წვერს სწორედ იმ წერტილს დაადებდა, რომლითაც დასახელებული ქალაქი იყო აღნიშნული, ხოლო, როცა მდინარეებზე საუბრობდა, სიტყვის შეუწყვეტლად ლურჯი ხაზით აღნიშნული მდინარის დინების მიმართულებით ჯოხის წვერს ზღვებისაკენ სწრაფად ჩააქროლებდა.

ანდროს კარგი პასუხით მასწავლებელთან ერთად მოსწავლეებიც მოიხიბლნენ.

მასწავლებელი მარტო ამ უკანასკნელი გაკვეთილის გამოკითხვით არ დაკმაყოფილდა, რამდენიმე კითხვა ადრინდელი გაკვეთილებიდანაც დაუსვა. ანდრომ ყველა შეკითხვაზე მარჯვედ უპასუხა. ბოლოს საკლასო ჟურნალში ანდროს გვარის პირდაპირ პირველი ლამაზი ხუთიანი ჩაიწერა.

— მოდით, ნურც ვანოს დავტოვებთ გულნაკლულად, — ხუმრობის კილოთი თქვა მასწავლებელმა. — აბა ვანო, ახლა შენ მიამბე გაკვეთილი.

ვანო ზანტად წამოდგა, თითქოს უკან ეწეოდნენ.

— რა მოგვივიდა ვანო, ავად ხომ არა ხარ?—უთხრა მასწავლებელმა.

— შემდეგ მკითხეთ, პატივცემულო მასწავლებელო! — დარცხვენით შესთხოვა ვანომ.

მასწავლებელმა კვლავ გაისწორა სათვალე. გაიარ-გამოიარა და ისევ ვანოს მიუბრუნდა:

— კითხვა ყოველთვის შეიძლება, მაგრამ დღეს რატომ არ იცი გაკვეთილი?

— ვერ მოვასწარი!— შერცხვენილი ვანო თავჩაღუნული იდგა. მისი უგუნებო ბუტბუტი ძლივს ისმოდა.

მეგობრის შერცხვენამ ანდროც ძალიან შეაწუხა და იგი გაკვეთილების შემდეგ გაჰკიცხა კიდეც:

— ბიჭო, ეს იყო შენი პირობა? ასე უნდა პიონერული სიტყვის შესრულება? სულ რომ გაიძახოდი: სწავლა ახლა დაიწყო, ჯერ არ მკითხავსო, ახლა რაღას იტყვი?

— რა მაქვს სათქმელი?! დავიმახსოვრებ. ესეც ხომ გაკვეთილია, სამუდამოდ სამახსოვრო, — თქვა დარცხვენილმა და თავისი თავით უკმაყოფილო ვანომ.

ანდრო მაინც არ ეშვებოდა.

— ბიჭო, ეგ პირობა რომ პიონერრაზმის წინაშე დაგედო, თავი მაშინაც ასე უნდა შეგერცხვინა?

— ეგეც იღბალი, რომ ჩვენს მეტმა არავინ იცის!— ნაღვლიანად მიუგო ვანომ.

* * *

ანდრომ წარჩინებული მოსწავლის სახელი მალე მოიპოვა. გეოგრაფიის პირველ ხუთიანს ჯერ ისტორიის ხუთიანი მიემატა, მერე გეომეტრიის ოთხიანი.

ახლა ვანოც ბეჯითად სწავლობს. ფიზიკასა და რუსულ ენაში ოთხიანები ზედიზედ დაუწერეს, მაგრამ მაინც გეოგრაფიის ორ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ანი უკრთობს მოსვენებას. ერთხელ ხელის აწევისას ვანომ ხმადაბლა, მორიდებულად მიმართა მასწავლებელს:

— პატივცემულო მასწავლებელო, მკითხეთ, ორიანი ხომ არ უნდა დამრჩეს?

მასწავლებელმა ვითომ ვერც გაიგონა, ფანჯარაში გაიხედა. როცა შემობრუნდა, ვანოს გადახედა:

— ჰო, შენ, მეორედ მოითხოვ გამოკითხვას, ვანო. კარგი, მხოლოდ მოთმინება იქონიე... გაკვეთილი ყოველთვის უნდა იცოდე... თუ იბეჯითებ ორიანის შეცვლა ადვილია.

ამ დროს მასწავლებელმა თვალი მოულოდნელად ანდროზე შეაჩერა. ანდრო უცნაურად შეიშმუშნა. მასწავლებელმა ახალ გადაშლილ საკლასო ჟურნალს გადაჰხედა.

ვანომ მხრები აიჩეჩა და ამხანაგი გააფრთხილა:

— მოემზადე! მე ვეხვეწები და, მგონი, შენ გეკითხება:

— მე, ხომ გამოკითხული ვარ! — შემკრთალი ხმით გადაუჩურჩულა ანდრომ. მასწავლებელმა სწორედ ანდროს გვარი და სახელი დაიძახა. ბავშვი შეშფოთებული წამოდგა. მასწავლებელმა შეკითხვა მისცა.

— მე... მე, პატივცემულო მასწავლებელო, გამოკითხული ვარ!—მოაგონა ანდრომ მასწავლებელს.

— მართალს ამბობ, მეც კარგად მახსოვს, მაგრამ, იცით, ყმაწვილებო! ერთ ხუთიანს რომ მეორე ხუთიანი ამოუდგება გვერდში, უფრო მტკიცე, უფრო მაგარი იქნება, როგორც ერთი ისე მეორე.

ანდროს ცეცხლის ალმური შემოუკიდა მასწავლებლის ამ სიტყვებმა. გაწითლდა. თავი ჩაღუნა. გაჩუმდა. მასწავლებელმა უსიამოვნოდ გაიღიმა და თქვა:

— როგორც ვატყობ, სამიანზეც თანახმა იქნები.

— არა, პატივცემულო მასწავლებელო, ორი მეკუთვნის. მე ამის ღირსი ვარ. მე მეგონა, — რადგან გეოგრაფიაში გამოძახებული ვიყავი, აღარ მკითხავდით...

— პირველმა ხუთიანმა გაგათამამა?! ყოველთვის მზად უნდა იყო!

— მართალია, პატივცემულო მასწავლებელო!

— ახლა ხომ მიხვდი, როგორ უნდა მეცადინეობა?!

— დიახ, ესეც კარგი გაკვეთილია.

გეოგრაფიაში ხუთიანს ორიანი ამოუდგა გვერდით.

ანდრო ცუდ გუნებაზე დადგა. სკოლიდან მოწყენილი დაბრუნდა. დანაშაულად მიაჩნდა ორიანის მიღება. დანაღვლიანებულ ამხანაგს ვანომ დაუწყო დაიმედება, მაგრამ სამაგიერო პასუხი რომ ვერ მიიღო, ისიც გაჩუმდა. მეგობრები შინისაკენ მიდიოდნენ ჩუმად, და ურთიერთშორის დადებული პიონერული სიტყვის გატეხა ორივეს მწვავედ ჰქონდა. ორივენი ფიქრობდნენ როგორც საკუთარ, ისე ერთმანეთის მწარედ სამახსოვრო გაკვეთილებზე. ისინი საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ გაკვეთილი ყოველთვის უნდა მოამზადონ.



ქ ა მ ე ლ ე ო ნ ი

ბევრ ქვეყნებში ცხოვრობს ერთგვარი ხვლიკი, რომელსაც ქამელეონს ეძახიან. ის მეტისმეტად ზანტია, ხეებზე დაღოღავს, საათობით ზის ხოლმე ტოტზე გაუნძრევლად და უთვალთვალებს მსხვერპლს. მას მეტად გრძელი ენა აქვს და ძალიან მოხერხებულად იჭერს მწერებს. საკმარისია რომელიმე მწერი, ბუზი, პეპელა ან ხოჭო დაჯდეს ქამელეონის გვერდით, რომ უცებ ისარივით გამოისვრის წებოვან ენას, რომელზედაც მყისვე მიეკრობა წინდაუხედავი მწერი. ქამელეონის ამ შესანიშნავი მოხერხებით სარგებლობს ეგვიპტეში ხალხი ბუზების გასანადგურებლად. ოთახში აკეთებენ სპეციალურ ქანდარას, ზედ დასვამენ ქამელეონს, გვერდით კი ჩამოუკიდებენ თაფლიან ქილას. ბუზები თაფლს ეხვევიან და მოულოდნელად ხვდებიან უცნაური მონადირის ენაზე.

ქამელეონი თავს იცავს მტრებისაგან თავისივე ფერით. ყოველგვარი ხიფათის შემთხვევაში იცვლის ფერს: ხან ფოთოლივით მწვანეა, ხან ხის ქერქის ფერია, ხან ჭრელი და სხვ.

ქამელეონი სილაში სდებს 25-35 კვერცხს და ასე მრავლდება.

ზოგჯერ იტყვიან „ეს კაცი ნამდვილი ქამელეონია". რის თქმა სურთ ამით?—როგორც ქამელეონი იცვლის ფერს, ისე ეს კაციც იცვლის თავის აზრებს, შეხედულებებს, შენთან შენია, სხვასთან სხვისი. ასეთ უპრინციპო კაცს ქამელეონს ეძახიან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელში გზის მახლობლად
ლამაზი ოდა არის,
როცა გაივლის მგზავრი
ეზოზე რჩება თვალი. —
ეზოს არტყია ირგვლივ
მაღალი მესრის რკალი.

ეზოში მწკრივთა შორის
ხარობენ ნარინჯები,
და ყოველ დილით ბაღში
პატარა ნაბიჯებით
მცენარეებთან მიდის
ჩვენი შავთვალა ლალი,
მზრუნველი ხელით უვლის,
მიჩურინელი არის.

მე ვნახე მისი ბაღი,
ვერ მოვაშორე თვალი,
და შევეკითხე: ახლა
რაზე ოცნებობ, ლალი?
მან მიპასუხა მორცხვად:
„ჩემი ოცნება არის,
მოსკოვშიც შრიალებდეს
ქართული ფორთოხალი“...

სასოფლო გზის მახლობლად
ლამაზი ოდა არის,
იქ ცხოვრობს პიონერი
მიჩურინელი ლალი...
თუ გზა დაგირჩეთ იქით
და გაიაროთ ახლო,
ლალის ეზოში შედით,
რომ მისი ბაღი ნახოთ.

მირონ სურგულაძე



ეროვნული ბიბლიოთეკა

რისგან წარმოიშობა ცისარტყელა

ბევრ თქვენგანს უნახავს უთუოდ, რომ მზის სხივები სარკის წახნაგებზე, ბროლის საკიდურებზე ან მინის ნამსხვრევზე გავლით იყოფა რამდენიმე ფერად—წითელ, ყვითელ, მწვანე, ლურჯ და სხვ. — ფერად. მზის სხივების მსგავსი გარდატეხა ხდება ატმოსფეროშიც, რის შედეგადაც ჩვენ ვხედავთ ლამაზ ცისარტყელას.

ცისარტყელა იბადება ატმოსფეროს დაბალ ფენებში. მზის სხივების გარდატეხა ხდება წყლის ორთქლის წვეთებში, რომლითაც გაჟღენთილია ჰაერი წვიმის შემდეგ. ამიტომაც ცისარტყელას ვხედავთ მუდამ მზის მოპირდაპირე მხარეზე.

რომელი ფრინველია ყველაზე სწრაფი

ფრენის სისწრაფეში შევარდენი სჯობს ყველა სხვა ფრინველს. ხოლო შევარდენთა შორის ყველაზე სწრაფია ეგრეთწოდებული „ჩეგლოკი“. იგი ჰაერში იჭერს მფრინავ მერცხალსაც კი. ეს შევარდენი ფართოდაა გავრცელებული საბჭოთა კავშირში, ბელორუსიიდან დაწყებული კამჩატკამდე.

რამდენს იწონის დედამიწა

დედამიწა იწონის დაახლოებით: 6.000.000.000.000.000.000.000 ტონას.

შემოკლებით ეს ციფრი იწერება ასე: 6.10^{21}. ათიანის ზევით, მარჯვნივ მიწერილი პატარა ციფრი გვიჩვენებს, რომ ერთიანის გასწვრივ უნდა დაიწეროს 21 ნოლი. ციფრს, გამოხატულს ერთიანითა და ოცდაერთი ნოლით — სექსტილიონი ჰქვია.

სექსტილიონი იმდენად დიდია, რომ ჩვენ სრულებითაც არ ძალგვიძს მისი წარმოდგენაც კი. მაგრამ ვცადოთ მისი შედარება გასაგებ რამესთან:

თქვენ უთუოდ იცით სახაზავი ქაღალდი— „მილიმეტრულა“, რომლის თვითეული უჯრედის ფართობი ერთი კვადრატული მილიმეტრია. ერთ კვადრატულ მეტრზე თავსდება ერთი მილიონი მსგავსი პაწაწინა უჯრედი. ისეთი „მილიმეტრულას“ ფურცელი რომ წარმოვიდგინოთ, რომელიც 6.10^{21} პაწაწინა უჯრედისაგან შედგება, — იგი 12-ჯერ მეტი იქნება, ვიდრე მთელი დედამიწის ზედაპირის ფართობი.

სად გაქრა კუნძული

ჯერ კიდევ არც ისე დიდი ხნის წინათ გეოგრაფიულ რუკაზე აღნიშნული იყო პატარა კუნძული — ვასილიევსკი. ეს კუნძული მდებარეობდა ლაპტევების ზღვაში, დიმიტრი ლაპტევის სახელობის სრუტეს დასავლეთით. ამ კუნძულს ჰქონდა ოთხი მილი სიგრძე და მეოთხედი მილი სიგანე.

ამ რამდენიმე წლის წინათ საბჭოთა ჰიროგრაფიულ გემს „ხრონომეტრს“ კუნძულ ვასილიევსკზე უნდა აღემართა სანავიგაციო ნიშანი. ხომალდი მივიდა კიდეც ადგილზე, მაგრამ კუნძული კი არსად იყო.

სად გაქრა კუნძული? მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ იგი წალეკა ზღვამ. ტალღები უდიდეს ძალას შეიცავენ. მაგალითად, შოტლანდიის ნაპირებზე შემჩნეული იყო ტალღები, რომელთა სიმაღლე 42 და სიგრძე 500 ფუტს აღწევდა. ეს ყველაზე ძლიერი ტალღები იყო, როგორიც კი ოდესმე უნახავთ.

ასეთ ტალღას შეუძლია ადგილიდან დაძრას 2.600 ტონიანი ქვის ლოდი.

სწორედ ასეთმა ტალღებმა მოსპეს კუნძული ვასილიევსკი.

ტბა, რომელშიც ადამიანი არ იძირება

პალესტინაში არის მკვდარი ზღვა, რომელშიც არ შეიძლება ადამიანი ჩაიძიროს. საბჭოთა კავშირშიც—ჩკალოვის ოლქის პატარა ქალაქ სოლ-ილეცკთან არის არაჩვეულებრივი ტბა, რომელშიც აგრეთვე არ იძირება ადამიანი. ცდილობ ჩაყვინთო ამ ტბაში — იმ წამსვე ზევით ამოგაგდებს იგი. ეს იმიტომ ხდება, რომ წყალი აქ, როგორც მკვდარ ზღვაში, მეტად გაჟღენთილია მარილით, ხოლო ადამიანის ტანი ასეთ წყალზე გაცილებით უფრო მსუბუქია.

ლ. ჯიშვილიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნელი ოქროპირიძე

ნახ. კ. მაზარაძისა

პატარა მეველის ნაამბობი

ოცა კარგად დაღამდა, მე და მამაჩემი კოლექტივის სიმინდის ყანების საყარაულოდ წავედით, მამამ ყოველშემთხვევისათვის თავისი ორლულიანი სანადირო თოფი წამოიღო. სიმინდის ყანა ტყის პირას იყო, სოფლიდან საკმაოდ მოშორებული. სიმინდს მსხვილი, ბარაქიანი ტაროები ესხა, მამა შიშობდა, რომ საქონელს არ გაეთელა ან დათვი არ შეპარულიყო.

მალე ცეცხლი გავაჩაღეთ, ნაკვერჩხლებზე პური გავაფიცხეთ, მწვადი შევწვით და გემრიელად შეველქეცით, მერე მამამ ერთი კარგი ზღაპარიც მიამბო.

კარგა დრო გავიდა. ძილი მერეოდა. მამამ ნაღვერდალი შეახვია, რომ ნიავს შორს არ გაეფანტა ნაპერწკლები, მერე ფუჩეჩზე დამაწვინა, და თავისი ქურქი გადამახურა. მაგრამ ახლა კი, რატომღაც აღარ დაძეძინა.

მთვარიანი ღამე იყო. სამარისებურ სიჩუმეში უეცრად რაღაც ფრთხილი ბაკუნი მომესმა, მერე სუსტი ზმუილი, წამოვდექი, სმენად გადავიქეცი. ცოტა ხანიც და ყანის თავიდან მომესმა ნელი შრიალი, თითქოს ვიღაც მოიპარებოდა. შრიალი ახლა ყანის ბოლოშიაც გაისმა.

შემეშინდა და უცებ მამას ხელი ვკარ, ისიც სულგანაბული უსმენდა.

— მამილო, გესმის, რაღაც შრიალი ისმის! — წავჩურჩულე. მამა წამოიწია და დააყურა, მერე თოფი ფეხზე შეაყენა და უხმაუროდ წამოდგა.

— არ გაიფაჩუნო! — მითხრა მან ჩუმად. მეც უხმაუროდ ფეხზე წამოვხტი და შრიალს ყური მივუგდე.

— ირმები არიან, — თქვა მამაჩემმა. — ნაკრძალიდან გადმოსულან. — მართლაც ირმები იყვნენ ჩვენი ნაკრძალისა, რომელიც არც ისე შორსაა ყანიდან, ისინი ისე ფრთხილად მოიწევდნენ ყანის შუაგულისაკენ, რომ ფოთლების შარიშური ძლივსღა ისმოდა. მაგრამ საკვირველი უფრო ის იყო, რომ ირმები მეტად შეთანხმებულად და მოფიქრებულად მოქმედებდნენ. ჯერ ყანის თავში შემოსული ირემი მოსტეხდა ტაროს, ამ დროს კი ბოლოში მყოფი ირემი თავაწეული, სულგანაბული უსმენდა ფუჩეჩის შრიალს, როდესაც პირველი გაინაბებოდა, ახლა ბოლოდან გაისმოდა ფოთლების შარიშური და ტაროს ხრამუნი.

მამაჩემმა დიდხანს არ დააყოვნა და ჰაერში გაისროლა. ირმები მოსწყდნენ ადგილს და კისრისტეხით ყანიდან გაცვივდნენ. კარგად დავინახე ერთი ქორბუდა ირემი, რომელიც ხმელი ტოტების ლაწალუწით ტყეში შევარდა, მას ფეხდაფეხ მიჰყვა მეორეც.

— ჰაი, ჰაი! — დასჭყივლა მამაჩემმა დამფრთხალ ირმებს და ყანის სიღრმეში შევიდა. მეც მივყევი.

ირმებს რამდენიმე ტაროს მოტეხა მოესწროთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მამა, რატომ იქცეოდნენ ირმები ასე? —შეეკითხე მე ირმების მოქმედებით გაკვირვებულმა.

— ირემი მეტად ფრთხილი ცხოველია, შვილო, ამიტომ მას ძნელად თუ მიეპარება მტერი. როდესაც სიმინდის საქურდლად მოდიოდნენ, ალბათ, წინასწარ შეთანხმდნენ, რომ ერთი შემოსულიყო ყანის თავიდან, მეორე კი ბოლოდან, მორიგეობით აეტეხნათ შრიალი, რათა მათი ერთდროული, გაუფრთხილებელი ხმაურის დროს მტერს არ ესარგებლნა, —ამიხსნა მამაჩემმა.

ცხენით პარიზში

სამოცი წლის წინათ საცხენოსნო სპორტის ყველა მოყვარულის ყურადღება მიიქცია არაჩვეულებრივმა მოგზაურობამ პარიზამდე, რომელიც შეასრულა ახალგაზრდა რუსმა ოფიცერმა მ. ვ. ასეევმა, პოლტავის ოლქის ქალაქ ლუბენიდან — ორი ჩვეულებრივი სამწყობრო ცხენით.

ახალგაზრდა ოფიცერმა ბევრი ცდის შემდეგ მიაღწია შვებულებისა და უცხოეთის პასპორტის მიღებას და 1889 წელს გაემგზავრა ლუბენიდან პარიზისაკენ ცხენით. მეორე სათადარიგო ცხენი უკან მოსდევდა ალვირით.

ასეევის მარშრუტი ასეთი იყო: ლუბენი-კიევი-ლვოვი-კრაკოვი - ჩრდილოეთ ბავარია-ტრირი-ლუქსემბურგი-რეიმსი. მამაც კავალერისტს უნდა გაევლო 2600 კილომეტრი.

პირველ დღეებში ასეევი გადიოდა დაახლოებით 50 კილომეტრს, ხოლო შემდეგ ეს მანძილი გაადიდა მან 80-90 კილომეტრამდე. ასეევი მგზავრობდა ხან ჩორთით, ხან ნაბიჯით, საშუალოდ 11 კილომეტრის სიჩქარით საათში.

მარშრუტის ყველაზე მძიმე უბნებს წარმოადგენდა ბავარიისა და ავსტრიის მთაგორიანი რაიონები.

საფრანგეთის საზღვარი ასეევმა გადაკვეთა ზუსტად ლუბენიდან მისი გასვლის დღიდან ერთი თვის შემდეგ, ხოლო ორი დღის შემდეგ მან მიაღწია თავისი მოგზაურობის მიზანს—ჩავიდა პარიზში. პარიზელებმა მამაც რუს სპორტსმენს აღფრთოვანებული შეხვედრა მოუწყეს. ასეევზე დიდხანს სწერდნენ საფრანგეთის გაზეთები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პაატას სიკვდილი

შოთა ქამაშვილი — **მ ო თ ხ რ ო ბ ა** — ნახ. გ. ფოცხიშვილისა

ახეიმოდ შემოსილი შაჰ-აბასი ტახტზე იჯდა და მხიარული სახით სასიამოვნო ფიქრებს მისცემოდა.

ის ფიქრობდა თავის ბედნიერებაზე, დიდებასა და სახელზე, გონების თვალით გადახედა თავის საბრძანებელს: ავღანეთი მის ხელში იყო, ბაღდადი დაიმორჩილა, ინდოეთსაც მიაღწია... ყველა ამ საქმეში მას უდიდესი დახმარება გაუწია ქართველ თავადთა შურიანობის გამო სამშობლოდან გადახვეწილმა გიორგი სააკაძემ, რომელმაც არაჩვეულებრივი ნიჭითა და ქართველთა მცირე რაზმით დიდი როლი შეასრულა შაჰ-აბასის სახელმწიფოს ამაღლებაში.

შაჰმა ფიქრი შეაჩერა საქართველოზე, რომელიც ირანის ლომს უგულებელყოფდა და ცდილობდა რუსეთს დაკავშირებოდა. ამის გახსენებაზე „შაჰმა გესლიანად გადიხარხარა და ორივე ხელი მაღლა აღაპყრო:

— ვფიცავ ალაჰს, საქართველო სრულიად მოვაოხრო... ურჩ ქართველობას თავებს დავჭრი. ვინც დამმორჩილდება, საქართველოდან ირანში გადმოვასახლებ, ხოლო მათ მშვენიერ მიწაზე ერთგულ ირანელებს დავასახლებ. ამით სრულიად ჩაიკეტება დარიალის ვიწრო კარი რუსეთისათვის.

ამ ფიქრის შესასრულებლად შაჰ-აბასმა საქართველოში გაგზავნა მრავალრიცხოვანი ჯარი გიორგი სააკაძის თანხლებით. სააკაძეს დავალებული ჰქონდა შაჰის სურვილის შესრულება. მაგრამ ირანის ლომმა კარგად იცოდა, რომ სააკაძე მისი უბრალო, ბრმა იარაღი არ იყო. კარგად იცოდა, რომ გიორგი იდვილად არ უღალატებდა საყვარელ სამშობლოს; ამიტომ მძევლად მან გიორგი სააკაძის საყვარელი ვაჟი პაატა დაიტოვა; ამის გარდა, ირანელ სარდლებს საიდუმლოდ დაავალა გიორგი სააკაძისათვის თვალყურის დევნება, — თუ რაიმე ეჭვს შეიტანდნენ მის მოქმედებაში, ადგილზევე მოეკლათ იგი... ხოლო პაატას...

პაატას გახსენებაზე შაჰი ჩაფიქრდა და ერეე მსახურს უბრძანა ეხმო მასთან გიორგის ვაჟი.

რამდენიმე წუთის შემდეგ კარი გაიღო და შაჰის წინაშე პაატამ მდაბლად დახარა თავი.

შაჰ-აბასმა პაატა გვერდით მოისვა, მიუალერსა და ქართულად ჰკითხა, თუ თავს როგორა გრძნობდა, ან რას აკეთებდა.

— გმადლობთ, მბრძანებელო, — მდაბლად, მაგრამ თამამად უპასუხა პაატამ, — ჯერჯერობით არა მიშავს რა. თქვენი სასახლის ბაღში წიგნს ვკითხულობდი. — და უჩვენა ყდამოოქრული სქელტანიანი წიგნი.

შაჰ-აბასმა იცნო „ვეფხისტყაოსანი“ და წარბები მოღუშა.

— ხომ იცი, რომ ჩემ მიერ შოთა რუსთაველი აკრძალულია. უმჯობესია ჩვენი „ყურანი“ წაიკითხო. — მრისხანედ, მაგრამ დამრიგებელი კილოთი წარმოთქვა შაჰმა.

— ჩვენში ყოველი ქართველი სიბრძნეს რუსთაველით სწავლობს, დიდო მეფეო! — თითქოს გულუბრყვილოდ უპასუხა პაატამ.

— მე ნაბრძანები მაქვს საქართველოშიც

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსპონ ეს წიგნი!—მტკიცედ წარმოთქვა ირანის მბრძანებელმა.

— მაშინ ქართველობაც მოისპობა!— ნიშნისგებით შეაპარა მძევალმა.

— მოესპობ კიდეც!—გველნაკბენივით დაიღრიალა შაჰ აბასმა და ხელები ზეაღაპყრო, —ალაჰს ვფიცავ, მოესპობ! ამ მიზნით, ხომ იცი, უკვე გავგზავნე საქართველოში ურიცხვი ჯარი. თვით მამაშენი, გიორგი სააკაძე, გაჰყვა ჩემს ჯარს საქართველოს მოსაოხრებლად.

პაატას წიგნი ხელიდან გაუვარდა, ზეწამოიჭრა, წაბარბაცდა და თვალთდაბნელებულმა იქვე ჩაიჩოქა... მას თვალწინ წარმოუდგა მამასთან გამოთხოვების სურათი: „ჩემი ბრალი არ არისო“,—ეუბნებოდა მამა. სამშობლოს კი ღალატობდა? არა! „სულზე უტკბესი ხარ, მაგრამ სამშობლო სულ სხვა რამეაო“. მაშ მამა სამშობლოს არ უღალატებს! მაგრამ რატომ არ მითხრა სიმართლე, რისთვის სწუხდა გამოთხოვებისას? „ასეა საჭირო“... მკოცნიდა,... ტიროდა... არა, კი არ ტიროდა... საქართველოში უთუოდ უჩვეულო ამბებია. მაშ, მე აქ რა მინდა? —გაიფიქრა პაატამ, მაგრამ მისი ფიქრები შაჰის ბრძანებამ შეწყვიტა. იგი უბრძანებდა მას ამდგარიყო. სააკაძის ვაჟმა დავარდნილი წიგნი ხელში აიღო და, როცა წამოდგა, შაჰ-აბასმა გამომცდელი კილოთი ჰკითხა:

— ძალიან უყვარხარ მამას?

— ჩვენში დედ-მამის სასახელო შვილი ყველას უყვარს!

— სამშობლოზე უფრო უყვარხარ?— კვლავ შეეკითხა შაჰი და ცბიერი თვალი პაატას ისარივით გაუყარა მკვირცხლ თვალებში...

მაგრამ ამ დროს ოფლში გაწუწული შიკრიკი შემოვარდა, შაჰის წინ პირქვე დაემხო და სასოწარკვეთილი ხმით მოახსენა:

— მეფეთ მეფეო, შაჰინ-შაჰო, დიდი უბედურების მაუწყებელი ვარ! — შაჰ-აბასმა წარბები შეიკრა, თვალები დააბრიალა და ფეხზე წამოდგა. შიკრიკმა განაგრძო: — გიორგი სააკაძემ გვიღალატა. მოულოდნელად გადაგვიდგა და თითქმის მთლიანად ამოწყვიტა ჩვენი ლაშქარი... ყველგან, თითქოს მიწიდან ძვრებოდნენ, გურჯები ელვასავით უვლიდნენ ჩვენს ურიცხვ სპათა. ყორჩი-ხანი და სხვა ერთგული სარდლები გიორგი სააკაძემ თავისივე ხელით დახოცა... ვინც გადარჩა ჩვენი ჯარიდან, შეშინებული უკანვე გამორბის...

— ალაჰ!—გიჟივით დაიღრიალა შაჰ-აბასმა. მხეცივით ეცა ამბის მომტანს და ტარამდე ჩასცა მახვილი გულში. შიკრიკი უსულოდ დაეცა ჯალათი შაჰის წინ.

პაატა შემკრთალი, მაგრამ სახეგაბრწყინებული იდგა. მის თვალწინ მამის აჩრდილი ელავდა: გიორგი სააკაძე ხმალამოწვდილი მიუძღოდა ქართველებს სამშობლოს თავისუფლებისათვის. ახლა კი მიხვდა პაატა მამის ქარაგმული სიტყვების მნიშვნელობას. მიხვდა და იგრძნო თავისი მდგომარეობა. „სულზე უტკბესი ხარ, მაგრამ სამშობლო სულ სხვა რამეაო“, — ჩუმად იმეორებდნენ მამის სიტყვებს მძევლის ტუჩები...

გამხეცებული შაჰი ახლა პაატას მიუბრუნდა;

— მაშ, მამაშენს სამშობლო უფრო ჰყვარებია შენზე. იგი ახლა ზეიმობს გამარჯვებას. მაშ მივულოცოთ დღესასწაულს და შენი თავი მივართვათ მას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვნახოთ შვილის სიკვდილი როგორღა იმოქმედებს მასზე.

შაჰმა ბრძანება გასცა ჯალათისთვის დაეძახნათ!

პაატა თითქოს მოელოდა ამას. როცა ჯალათი შემოვიდა, პაატა არც კი შემკრთალა, პირიქით უფრო გასწორდა წელში და ამაყად წარმოთქვა:

— დაე, მოვკვდე სამშობლოსათვის, საქართველო მრავალს გაზრდის ჩემისთანას.

ჯალათის ხელში მოქნეულმა ხმალმა იელვა და პაატას ტანი ჯერ ისევ ფეხზე იდგა, როცა მისი მოკვეთილი თავი და „ვეფხისტყაოსანი“ გამხეცებული შაჰ-აბასის ფეხებთან დავარდა.

წიგნი გადაშლილიყო და პაატას ჯერ ისევ ღია თვალები თითქოს მის ფურცლებზე კითხულობდნენ:

„სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი!“

ჩვენი სახელოვანი ხორბალი

ხორბალს სთესენ თითქმის მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. დედამიწის მოსახლეობის საშემეოთხედი ხორბლეულით იკვებება. მაგრამ არც ერთ ქვეყანაში იმდენი ხორბლეული არ მოჰყავთ, რამდენიც საბჭოთა კავშირში. კვებითი თვისებებით საბჭოთა ხორბალი საუკეთესოა მთელ მსოფლიოში. ის 24 პროცენტამდე ცილას შეიცავს.

წარსულში რუსეთის ხორბალი გაჰქონდათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადაში, ავსტრალიაში. ამჟამად ჩრდილო ამერიკაში მოჰყავთ რუსული ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიც არის: „ყუბანური“, „ყირიმული“ და სხვ. გვხვდება აგრეთვე ხორბლის ისეთი ჯიშები, როგორიც არის: „ხარკოვი“ და „ოდესა“. შორეულ ავსტრალიაში გავრცელებულია რუსული ხორბალი „გორკა“. ცხელ არგენტინაში ცნობილია ჩვენი უკრაინული ხორბალი „კოოპერატორკა“. დიდი სახელით სარგებლობს ძველისძველი ლენინგრადული ხორბალი „ლადოგა“. აღმოჩნდა, რომ საზღვარგარეთ ლენინგრადული ხორბლის ამ ჯიშიდან არის გამოყვანილი ხორბლის ბევრი ჯიში.

ყველა ეს ჯიშები ადრე მწიფდება და არის საუკეთესო კვებითი თვისებების მქონე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკანასკნელი გადაცემა

მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონგრესის მუდმივი კომიტეტის წევრის **იოჰანეს სტილის** ნაამბობი.

ამერიკა იცნობს ჩემს ხმას. ყოველდღე სრული თხუთმეტი წუთი—შვიდი საათიდან რვის თხუთმეტ წუთამდე მე ვიდექი ამერიკელ რადიოგადამცემელთა საზოგადოების „ეი-ბი-სის" მიკროფონთან და ველაპარაკებოდი ჩემს ხალხს, თუ რა ხდებოდა მთელ მსოფლიოში.

1938 წლის 12 მარტს, ღამით, გერმანელთა ქვეითი ჯარი საბარგო მანქანებით შეიჭრა ავსტრიაში. მე ვიდექი მიკროფონთან და გადავცემდი ჩემს ხალხს სიმართლეს.

1938 წლის 30 სექტემბერს ინგლისის და საფრანგეთის პრემიერმინისტრებმა ჩემბერლენმა და დალადიემ გერმახიის ქალაქ მიუნხენში, ამერიკელი მილიონერების რჩევით, ჰიტლერს მიჰყიდეს ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა. მადლობის ნიშნად, ჰიტლერი თავის მფარველებს შეჰპირდა, რომ ფაშისტურ ურდოებს მოაბრუნებდა აღმოსავლეთისაკენ — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის შესახებ ამერიკულ გაზეთებში არც ერთი სტრიქონი არ დაბეჭდილა... მე ვიდექი მიკროფონთან და ვამბობდი სიმართლეს.

1939 წლის 14 მარტს, საღამოს 6 საათზე, ფაშისტთა ტანკებმა და სს-ელთა დივიზიებმა გადალახეს ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო საზღვარი... ერთი საათის შემდეგ, 7 საათზე, მე ვიდექი მიკროფონთან...

მე ვიდექი მიკროფონთან მაშინაც, როცა შავჯვრიანი თვითმფრინავები მშვიდობიან ვარშავას ბომბებს უშენდნენ, როდესაც ქალაქ პარიზის ქუჩებში გაჩნდნენ შავ მუნდირში გამოწყობილი ადამიანები — გესტაპოელები.

მე ვიდექი მიკროფონთან 1941 წლის ივნისის მზიან დღეს, როდესაც ჰიტლერმა გათელა ხელშეკრულება და ფაშისტური ურდოები საბჭოთა კავშირისაკენ დასძრა...

მე გადაცემას ვაწარმოებდი დაბნელებულ ლონდონიდან საჰაერო განგაშის დროსაც, ყველაზე უფრო საშინელი დაბომბვის დროს....

მე ვეწეოდი გადაცემას გერმანიიდან იმ დღესაც, როდესაც ამერიკელი ქვეითნი და რუსი ტანკისტები მდინარე ელბის ნაპირებზე ძმებივით ეხვეოდნენ ერთმანეთს.

ასე ვმუშაობდი ცხრა წელიწადი. გადავეცი 3.650 საბრძოლო განმარტება, 4 მილიონი სიტყვა: გამაფრთხილებელი თუ მრისხანე, შემაძრწუნებელი თუ აღმაფრთოვანებელი— მხოლოდ უცვლელი და მართალი სიტყვები.

1946 წლის უკანასკნელ დღეს „ეი-ბი-სის" კომპანიის ფორმით გამოწყობილმა დამტარებელმა ბიჭმა გადმომცა კონვერტი. კონვერტში აღმოჩნდა ჩემი უკანასკნელი კვირის ხელფასის ჩეკი და მოკლე განმარტება. კომპანია სამსახურიდან მხსნიდა. მეორე დღეს, საღამოს შვიდ საათზე უკანასკნელად დავდგებოდი მიკროფონთან.

უმუშევარი! რამდენჯერმე მსმენია ეს საშინელი სიტყვა! ნიუ-იორკის ბაღებში მინახავს უმუშევრები, მინახავს ბროდვეის კუთხეში სამათხოვროდ ხელგაწვდილი უმუშევრები. მაგრამ არასოდეს არ მიგრძვნია ამ სიტყვის საშინელი მნიშვნელობა ისე, როგორც იმ წუთში, როცა მე თვით ვავხდი უმუშევარი.

მთელი ღამე არ მძინებია. დავდიოდი კუთხიდან კუთხეში, ნაბიჯებით ვზომავდი ჩემს ოთახს. ვფიქრობდი, ვიგონებდი...

მომაგონდა ძმა — გერმანიის საკონცენტრაციო ბანაკში ნაცისტების მიერ ნაწამები ძმა.

მომაგონდა დედა— მისი წყნარი ხმა, მისი მოალერსე ხელები, დედა რომელმაც ვერ გადაიტანა შვილის სიკვდილი. ეს მწუხარება ვერ აიტანა მამამაც. ფაშიზმმა წამართვა ძმა, დედა, მამა.

მე დავრჩი მარტო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე ვებრძოდი ფაშიზმს როგორც შემეძლო, რათა მილიონი ამერიკელის ოჯახისათვის ამეცდინა ის უბედურება, რაც ჩემს ოჯახს ეწია.

1933 წელს ლონდონში გამოვიდა ფაშისტური მუქარისაგან გამაფრთხილებელი ჩემი წიგნი, ერთი წლის შემდეგ ნიუ-იორკის ჟურნალ „ნეიშნის“ ფურცლებზე ისევ ამ მუქარის შესახებ ვწერდი.

გაზეთ „ნიუ-იორკ პოსტის“ პატრონებმა გამომაგდეს სამსახურიდან, რადგან სიმართლეს ვწერდი ესპანელი ხალხის ჯალათ ფრანცისკო ფრანკოზე.

და, აი, ახლა უმუშევარი ვარ... მე დავდიოდი ოთახში და ვეკითხებოდი ჩემს თავს: რა შეიცვალა ჩემში? რისთვის არ ვჭირდები ახლა ამერიკას?

რისთვის გამომაგდეს სამსახურიდან? მე ხომ ისეთივე დავრჩი, როგორიც ვიყავი?... მე ყოველთვის სიმართლეს ვამბობდი რა მწარეც უნდა ყოფილიყო იგი. დარწმუნებული ვიყავი, რომ არ შევცვლივარ, შეიცვალა მხოლოდ ამერიკა. ფოლადისა და ნავთის მეფეებს—უოლ-სტრიტის საქმოსნებსა და ჩიკაგოს განგსტერებს ამერიკა მიჰყავთ ფაშიზმისაკენ... და მე მივიღე გადაწყვეტილება.

...ნესტიანი საღამო იყო, ქარი ქროდა. საკმაოდ მსხვილი თოვლის ფიფქები ირეოდა ელექტრონის შუქზე და ეფინებოდა ქვაფენილს. ავიწიე პალტოს საყელო, ხელები ღრმად ჩავიყავი პალტოს ჯიბეში და გავეშურე: მივდიოდი რომ უკანასკნელად გადამეცა...

მეკარემ კარი გამიღო:

— საღამო მშვიდობისა, მისტერ სტილ! — მის ხმაში თანაგრძნობა ვიგრძენი.

გავიხადე პალტო და მივედი მიკროფონთან, საათის ისარი შვიდს უჩვენებდა. გაისმა სიგნალი: „მიკროფონი ჩართულია. დაიწყეთ!“

და მეც დავიწყე. ეს იყო ჩვეულებრივი მიმოხილვა, ისეთი, რომელიც წამიკითხავს ბერჯერ. მხოლოდ დღეს ის გაგრძელდა არა თხუთმეტი წუთი, არამედ მხოლოდ თორმეტი წუთი. სამი წუთი ჩემთვის დავიტოვე.

„რკინის ფრთა ჩამოეფარა ამერიკის რადიოს,—დავიწყე მე. — ჩემო მეგობრებო! დღეს თქვენ უკანასკნელად მისმენთ. მე მსურს მშვიდობა. მე მინდა ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ხალხი მეგობრულად ცხოვრობდეს რუსებთან. მე ვიბრძვი ფაშიზმის წინააღმდეგ, ფაშიზმისა, რომლის გამო ჩვენს ქვეყანაში სუნთქვა დღითი დღე ძნელდება.

მაგრამ ამერიკაში არიან ადამიანები, რომელთაც არ მოსწონთ ჩემი საქმიანობა. ეს ადამიანები მართავენ დღეს ამერიკას. ისინი ცდილობენ დამამუნჯონ. მათ ეს შეუძლიათ. მაგრამ სიმართლე არ დაიკარგება. ხვალიდან მე ვიწყებ ჟურნალის გამოცემას. ამ ჟურნალიდან თქვენ გაიგონებთ სტილის ნამდვილ ხმას.

ჩემო მეგობრებო! მე ველი თქვენგან თანაგრძნობას და ძმურ დახმარებას!“

ასობით და ათასობით წერილი მივიღე. ამ წერილებს ამერიკის უბრალო ხალხი მიგზავნიდა. მას წერდნენ: დეტროიტის მუშები, აიოვის ფერმერები და კალიფორნელი მებაღეები. მწერდნენ ადამიანები, რომელთათვის ამერიკა ძვირფასია. ზოგიერთ წერილში ათი ცენტი იყო ჩადებული, ზოგში კი ათი დოლარიც.

„სტილის ბიულეტენი“* დაიბადა. ის ცხოვრობს, ის იბრძვის, ის იბრძოლებს.

ჩემს ხალხს არ უნდა ომი. ჩემი ხალხი იწყებს ბრძოლას მშვიდობისათვის, მშრომელი ამერიკელებისათვის. ამ ბრძოლაში მაგალითის მომცემია საბჭოთა კავშირი — პირველი მებრძოლი კაცობრიობის ბედნიერებისათვის, კაცობრიობის მშვიდობისათვის მთელ მსოფლიოში.

გაზეთი **„პიონერსკაია პრავდა“.**

---

* „სტილის ბიულეტენი“—ეს სტილის მიერ გამოცემული ჟურნალის სახელწოდებაა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედამიწის უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილს არქტიკას უწოდებენ.

არქტიკა ბერძნული სიტყვაა. „არქტოს“ ბერძნულად დათვს ნიშნავს. „არქტოს“ ანუ დათვს უწოდებენ იმ თანავარსკვლავედს, რომელიც ჩრდილო პოლუსს თავზე დასცქერის.

არქტიკის ნაწილი, 17,5 მილიონი კვადრატული კილომეტრი ფართობი, საბჭოთა კავშირის ტერიტორიას ეკუთვნის. ამ ფართობში შედის: ჩრდილო პოლარული ოკეანე მრავალი ზღვითა და კუნძულით, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ტუნდრა.

კუნძულთაგან ცნობილია: ფრანც-იოსების მიწა, ახალი მიწა, ჩრდილოეთის მიწა, ახალი ციმბირის, კოლგუევის, ვრანგელის და მრავალი სხვა პატარა კუნძული.

ნახევარკუნძულთაგან — კანინის, ტაიმირის, იამალის, ჩუკოტკისა და სხვები. ზღვებიდან აღსანიშნავია: ბარენცის, ლაპტევების, კარის, აღმოსავლეთ ციმბირისა და ჩუკოტკის.

კაცობრიობას ძველი დროიდან აინტერესებდა არქტიკის შესწავლა. ბევრი მებრძოლი და გამბედავი მოგზაური დაიღუპა არქტიკის ბუნების ძალებთან უთანასწორო ბრძოლაში.

პირველი პოლარული ექსპედიციები არქტიკაში ეწყობა ჯერ კიდევ XVI საუკუნეში. მაშინდელ ექსპედიციებს აინტერესებდათ შეესწავლათ არქტიკის ჩრდილო-აღმოსავლეთი, უმოკლესი გზა, რომლითაც შეიძლებოდა ურთიერთობის დამყარება ევროპასა და აღმოსავლეთ ქვეყნებს შორის (ჩინეთი, იაპონია).

მაგრამ ვერც ერთმა ექსპედიციამ ვერ შეძლო ამ ამოცანის გადაჭრა. ყველა ექსპედიცია მარცხით თავდებოდა. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი ექსპედიციის მიღწევაც, რომელთაც დიდი დამსახურება მიუძღვით არქტიკისა და რუსეთის ჩრდილოეთის შესწავლის საქმეში. ამ მხრივ პირველობა უთუოდ რუს მოგზაურებს ეკუთვნით.

1648 წელს კაზაკმა სიმონ დეჟნევმა მოუარა ჩუკოტკის ნახევარკუნძულს და ამით დაამტკიცა, რომ აზიისა და ამერიკის კონტინენტები არ უერთდება ერთმანეთს. ეს იყო უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენა.

1663 წელს რუსი კაზაკები მდინარე ლენით გავიდნენ ჩრდილო ყინულოვან ოკეანეს სანაპიროზე. ამით დაიწყო ციმბირის ათვისება რუსების მიერ.

1912-1914 წლებში ცნობილია ჩრდილო პოლარული ქვეყნების მკვლევრის გიორგი სედოვის მოგზაურობა.

პოლარული ქვეყნების ცნობილი მკვლევარი ფრიტიოფ ნანსენი ამტკიცებდა, რომ „მოდრეიფე ყინულით შეიძლება მივაღწიოთ პოლუსს“. ცნობილია მისი მოგზაურობა გემ „ფრამით“, რომლითაც ნანსენმა მიაღწია ჩრდილო განედის 85 გრად. და 50 მინუტს, ხოლო შემდეგ გახდა ნათელი, რომ ყინულოვანი ოკეანის ჩრდილო ნაწილი დაფარულია ყინულით და რომ ყინულები მოძრაობს აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. ყინულების ამ მოძრაობას დრეიფი ჰქვია.

23 წელი ემზადებოდა ამერიკელი რობერტ პირი ჩრდილო პოლუსზე მისაღწევად. ეს მან მხოლოდ 1909 წლის 6 აპრილს შეძლო.

პოლარული ქვეყნების ცნობილი მკვლევრები არიან აგრეთვე: რუალ ამუნდსენი, უმბერტო ნობილე, ადოლფ ერიკ ნორდენშელდი და სხვ.

მეფის მთავრობას არ აინტერესებდა ჩრდილოეთის საზღვაო გზის ათვისება-შესწავლა.

საბჭოთა ხალხი კი არქტიკის ყველა პრობლემას მიუდგა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

ლენინისა და სტალინის მითითებებით ჯერ კიდევ 1918 წელს იწყება ჩრდილოეთის ათვისება. 1918 წლის 2 ივლისს საბჭოთა მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომ ერთი მილიონი მანეთი გადადებული ყოფილიყო ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში ჰიდროგრაფიული ექსპედიციების მოსაწყობად.

საბჭოთა ხელისუფლებამ პირველმა შექმნა ტექნიკური და მეცნიერული ბაზა არქტიკის ათვისებისათვის. აგებულია: ყინულმჭრელი და სპეციალური სატვირთო გემები, გამოყენებულია ავიაცია, მოქმედებს პოლარული სადგურები, სადაც ყოველდღიურ დაკვირვებას ახდენენ ზღვის სიღრმეების, ყინულების სისქის, ჰაერის ტემპერატურის, წნევის, დედამიწის მაგნეტიზმის და სხვათა შესწავლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა პოლარულ მკვლევრებს თავისი ისტორია აქვთ. ვის არ სმენია ცნობილი სტალინური მარშრუტები: მოსკოვი-კამჩატკის პეტროპავლოვსკი, მოსკოვი-სან-ფრანცისკო და სხვა გმირული გადაფრენები, რაც ბრწყინვალედ შეასრულეს საბჭოთა მფრინავებმა: ჩკალოვმა, ბელიაკოვმა, ბაიდუკოვმა, და მეორე სამეულმა: გრომოვმა, დანილინმა, იუმაშევმა, მამაცმა ქალებმა ოსიპენკომ, გრიზოდუბოვამ, რასკოვამ.

ვის არ გაუგონია პაპანინელთა გმირული ექსპედიცია არქტიკის მოდრეიფე ყინულებზე 9 თვის განმავლობაში.

საბჭოთა მთავრობის დავალებით გადაწყდა ჩრდილო პოლუსის ახლოს პოლარული სადგურის მოწყობა, სადგურის თანამშრომლებად დანიშნული იყვნენ: უფროსად — ი. პაპანინი, რადისტად — ე. კრენკელი, ასტრონომად — ე. ფედოროვი და ჰიდროლოგ-ბიოლოგად პ. შირშოვი.

არქტიკის შესწავლის ისტორიაში უმაგალითო ექსპედიცია მოსკოვიდან ჩრდილოეთისკენ გაემგზავრა 1937 წლის 22 მარტს.

1937 წლის 21 მაისს პაპანინელებმა ჩრდილო პოლუსზე აღმართეს წითელი დროშა.

პაპანინელებმა მთელ მსოფლიოს დაუმტკიცეს, თუ რის გაკეთება შეუძლია საბჭოთა ადამიანს.

არქტიკის შესწავლის ისტორიაში ჩაიწერება ისეთ მეცნიერთა სახელები, როგორიც არიან აკადემიკოსები ვ. ვიზე, ო. შმიდტი, ი. შოკალსკი და სხვ.

არქტიკის ათვისების ისტორიაში შევა ისეთი გემების სახელები, როგორიცაა ყინულმჭრელები: „კრასინი“, „ჩელუსკინი“, „სადკო“, „შალიგინი“, „ტაიმირი“, „სიბირიაკოვი“, „ერმაკი“, „პაპანინი“ და სხვ.

საბჭოთა ხალხის თავდადებულმა მუშაობამ უნაყოფოდ არ ჩაიარა. საბჭოთა არქტიკა ათვისებულია. ომისშემდგომ ხუთწლედში ჩრდილოეთი საზღვაო გზა მუდმივმოქმედ მაგისტრალად გადაიქცა. მთელი რიგი მეცნიერული ექსპედიციების შემდეგ, ზღვით მგზავრობა არქტიკულ წყლებში რეგულარულია, ათეული სატვირთო და სამოქალაქო გემი ახდენს ჩრდილოეთის საზღვაო რეისს.

მდიდარია საბჭოთა ჩრდილოეთი. აქ არის: ქვანახშირი, ნავთი, ტორფი. მდიდარია საბჭოთა ჩრდილოეთი თავისი თვალუწვდენი ტყეებით, ძვირფასბეწვიანი ცხოველებით, თევზით და სხვ. დიდი მნიშვნელობა აქვს აქ მეირმეობას, რადგან ჩრდილოეთში ირემი მიმოსვლის და ტვირთზიდვის ერთ-ერთი საშუალებაა.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ გაუმჯობესდა და ლამაზი გახდა ჩრდილოეთის ხალხების ცხოვრება. აგებული და კეთილმოწყობილ იქნა მათი ქალაქები: ნარიან-მარი, დიქსონი, ხე-ტყის მრეწველობის უდიდესი ცენტრი — იგარკა, ქვანახშირის მრეწველობის ცენტრი — ვორკუტა, სპილენძისა და ნიკელის მოპოვების ცენტრი — ნორილსკი, ნავსადგურები: ტიქსი, ანადირი, დუდინკა და სხვ.

საბჭოთა არქტიკის ზონაში ცხოვრობენ, ოდესღაც ჩამორჩენილი და გადაშენების გზაზე მდგარი, ხოლო ახლა ბედნიერი ოსტიაკ-ვოგულები, იამალები, ნენცები, ჩუკჩები, ესკიმოსები, რომელთაც საბჭოთა ხელისუფლებამ საუკეთესო ეკონომიური და კულტურული პირობები შეუქმნა. მათთვის აგებულია სკოლები, საავადმყოფოები, კეთილმოწყობილია მათი საცხოვრებელი ბინები.

საბჭოთა კავშირის შორეულ ჩრდილო-აღმოსავლეთში მდებარე ჩუკჩების ნაციონა-



საბჭოთა არქტიკის რუკა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლურ ოკრუგში 70-ზე მეტი კულტ-საგანმანათლებლო დაწესებულებაა. წიგნები და გაზეთები იბეჭდება ჩუკჩების და ესკიმოსების ენაზე. რევოლუციამდე აქ არ იყო არც ერთი სამედიცინო დახმარების დაწესებულება, ამჟამად კი 50-ზე მეტი ასეთი დაწესებულება მუშაობს.



საბჭოთა მიჩურინელებმა ცდების შედეგად მიაღწიეს იმას, რომ პოლარულ მხარეს აქვს საკუთარი ბოსტნეული.

ლენინგრადში არსებობს ჩრდილოეთის ხალხების უნივერსიტეტი, რომელიც მაღალკვალიფიციურ კადრებს უმზადებს ჩრდილოეთის ხალხებს.

ჩვენი ხალხების გმირული შრომით, დიდი სტალინის უშუალო ხელმძღვანელობით ათვისებულია ჩრდილოეთის საზღვაო გზა, რომელიც აერთიანებს საბჭოთა კავშირის ჩრდილო-დასავლეთს — შორეულ აღმოსავლეთთან და წყნარ ოკეანესთან.

განხორციელდა არქტიკის ათვისების ლენინ-სტალინის იდეა.

ო. პეპრიაშვილი

შ ი ნ ა ა რ ს ი

	გვ.
ლენინი ჩვენთანაა	1
ე. ქურდიანი — ლენინს (ლექსი)	4
გოელროს ლენინური გეგმა	4
ვ. მაიაკოვსკი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი (ლექსი)	7
შ. შენგელი—საბჭოთა ეპოქის უნიჭიერესი პოეტი	8
ვ. გორგანელი — ქარხანაში (ლექსი)	11
ნ. კანდელაკი — ძია გიორგი (მოთხრობა)	12
ვ. ნადარეიშვილი — ნორჩ მებალეს (ლექსი)	15
ხუთოსანთა ტრიბუნა	16
ლ. ჭიჭინაძე— სამახსოვრო გაკვეთილები (მოთხრობა)	18
ლ. მშვიდობაძე— ცნობისმოყვარეთა კუთხე	22
მ. სურგულაძე — ლალის ოცნება (ლექსი)	23
შ. ძამაშვილი—პაატას სიკვდილი (მოთხრობა)	25
უკანასკნელი გადაცემა	28
ო. პეტრიაშვილი—საბჭოთა არქტიკა	30
ა. ებრალიძე — ჭადრაკის კუთხე	
გარეკანის მე-3 გარეკანის მხატვრობა — „დილა“ **ს. მაისაშვილისა**	
გარეკანის მეოთხე გვერდზე ფოტო „ნორჩი მებალეები“—**ვ. რუსეკისა.**	

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. კაპანიძე**

პასუხისმგებელი მდივანი **ვ. თორდუა**

სარედაქციო კოლეგია: **ე. აგლაძე, ლ. გვრიტიშვილი, ვ. ვარდიაშვილი, გ. თავზიშვილი, მარიჯანი, მ. მირიანაშვილი, ო. ნემსაძე, ზ. შენგელია.**

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელ. 3-81-85

ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ

უე 03112 ტირაჟი 7000 გამომცემლობის შეკვ. № 44 სტამბის შეკვ. № 502

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.

ჟურნალის გარეკანი დაბეჭდილია „ზარია ვოსტოკას“ ოფსეტ-მანქანაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



სვლები*

რაში

აქ ე5-უჯრედზე მდგარ რაშს შეუძლია გადავიდეს ერთ-ერთ შემდეგ უჯრედებზე: ფ7, ჟ6, ჟ4, ფ3, დ3, ც4, ც6 და დ7; რაში რომ იდგეს დაფის კუთხეში (მაგალითად ა1 უჯრედზე), მას ექნებოდა მხოლოდ ორი



სვლა — ბ3 და ც2 უჯრედებზე; რაშის სვლა წარმოადგენს უმოკლეს შესაძლებელ ნახტომს, რომელიც ასე ხორციელდება: ორი უჯრედი წინ ან მარჯვნივ, უკან ან მარცხნივ და ‘ემდეგ რაში იდგმება ერთი უჯრედით მათ პერპენდიკულარულად. რაშს ისევე, როგორც სხვა ფიგურას შეუძლია აიღოს მის მიერ დამუქრებულ უჯრედზე მდგარი მოწინააღმდეგის ფიგურა (და არა, რასაკვირველია, საკუთარი). რაშის სვლის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ თუ ის დგას შავ უჯრედზე, მას შეუძლია გადასვლა მხოლოდ თეთრზე და პირიქით. რაში ერთად-ერთი ფიგურაა, რომელსაც შეუძლია გადაახტეს სხვა ფიგურას.

მეფე

ჭადრაკის ბრძოლის შინაარსი მდგომარეობს მოწინააღმდეგის მეფის დაღუპვაში და საკუთარის გადარჩენაში და ამიტომ მეფე არის ჭადრაკის პარტიის უმთავრესი ფიგურა.



მეფეს აქვს ლაზიერის შეკვეცილი სვლები, ე. ი. მეფეს შეუძლია გააკეთოს სვლა მის მიერ დაკავებულ უჯრედიდან ყოველი მიმართულებით მხოლოდ ერთ უჯრედზე. დიაგრამაზე აღნიშნულ პოზიციაში თეთრ მეფეს რომელიც დ2 უჯრედზე დგას, აქვს წერტილებით აღნიშნული რვა სვლა, ე8 უჯრედზე მდგარ მეფეს კი აქვს მხოლოდ ხუთი სვლა.

გასაგებია, რომ მეფეს არ შეუძლია მოწინააღმდეგის ფიგურის მიერ დამუქრებულ უჯრედზე გადასვლა.

ე. ებრალიძე,
სსრ კავშირის სპორტის ოსტატი

(გაგრძელება იქნება)

* გაგრძელება. დასაწყისი იხილე № 1, № 2, № 3.

43/73.
ПИОН
РЕСПУБЛИЧ. Б-КА

ეროვნული
ბიბლიოთეკა